ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

ფასი ნომრისა 10 კაპეიკი.

№ 11

კვირა, 14 მაისი

ᲧᲝᲚᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ფასი წლის დამლევამდის 3 მან.; ხუთი თვით 2 მან. | 1877—1906 | ადრესი: ტფილისი, ფრეილინის ქ., № 5. ტელეფ. № 922.

ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ: — **არჩევნების შემდეგ**, ფ. გოგიჩაიშვილისა. — **ამნისტია**, თ—ლისა.— **ცეცხლითა და მახვილითა**, სვ. ყ—ისა.—**მინისტრთა პასუხისმგებლობა**, მ—სი.— **ბრძოლის საშუალებანი** (რუსულით) ლ. გალიჩისა.— **მოხუცის აღსარება**, (ლექსი) აკაკი ა.—**იდეალები**, (ლექსი) შილლერისა, თარგმანი დ. თომაშვილისა.—**მიწის ფლობელობა ახალ ზელანდიაში**, ა—სი. **მონანულ ჯაშუშს** დ. თო აშვილ სა.— **ზნეობრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში**, (გაგრძელება) ივ. ჯავახიშვილისა.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

9 და 10 მაისს ქუთაისსა და ტფილისში მოხდა არჩევნები სახელმწიფო სათათბიროს წევრების ამომრჩეველთა ასარჩევად. შედეგი, როგორც წინანდელის, ისე განსაკუთრებით ამ უკანასკნელ არჩევნებისა დიდად საინტერესო და საყურადღებოა. ამ შედეგს არა თუ პარტიული, არამედ უფრო მეტი,— შეიძლება ვთქვათ,—ისტორიული მნიშვნელობა აქვს და ამიტომ საჭიროა მისი მიუდგომლად განსჯა და აწონ-დაწონვა. უეჭველია, ამის შემდეგ ერთი მხრით გამარჯვებულ პარტიის წევრები, გამარჯვებით გათამამებულნი, თავიანთ რეალურ ძალის შესახებ ბაქი-ბუქსა და ტრაბახს უმატებენ და მოუხშირებენ, მეორე მხრით დამარცხებული პარტიები, სხვა და სხვა „მიზეზების“ გამონახვით, თავიანთ პარტიულ დამარცხებას მიაფუჩეჩებენ. ჩვენ ამ შემთხვევაში ვერც პირველთა და ვერც მეორეთა ტაქტიკას ვერ მივემხრობით,—ვერც გამარჯვებას გავადიდებთ შეუფერებლად და ვერც დამარცხებას დავფარავთ ჩვენი თავმოყვარეობის დასაცველად.

და დაუფარავი სიმართლე კი ასეთი გახლავთ: არჩევნებში სოციალდემოკრატიამ გაიმარჯვა დიდებულად და ყველა სხვა პარტიები დამარცხდენ... ჩინებულად. ტფილისში არჩევნების დროს პარტიები სამ მებრძოლ რაზმად იყვნ დაყოფილი სოციალდემოკრატია, მემარცხენეთა კავშირი (რადიკალები, დემოკრატები, ფედერალისტები) და კონსტიტუციონალ-დემოკრატები. ყველა ეს პარტიები დაამარცხა სოციალდემოკრატიამ,—გარდა ერთის —მეოთხე უბნისა, ყველგან სოციალ-დემოკრატიის კანდიტატებმა გაიმარჯვეს და ამგვარად მათ ჰყვათ უკვე ამომრჩეველთა დიდძალი უმრავლესობა. ტფილისიდან სოციალდემოკრატ დეპუტატის ამოსარჩევად კანდიდატად დასახელებულია ბ-ნი ნოე ჟორდანია, რომლის არჩევა, მისი პარტიის ამგვარ სამაგალითო გამარჯვების შემდეგ, სრულიად უზრუნველყოფილია.

ქუთაისის არჩევნებშიაც (9 მაისს) სოციალდემოკრატამ გაიმარჯვა. იბრძოდა ცალ-ცალკე სამი პარტია: ფედერალისტული, ავტონომისტ-დემოკრატიული და სოციალდემოკრატიული. ოთხივე გათეთრებული კანდიდატი სოციალდემოკრატიულ პარტიის ამომრჩეველია, სავსებით დამარცხდენ პირველ ორ პარტიის კანდიდატები. ამ სახით დღესვე ქუთაისის გუბერნიაში სოციალდემოკრატიას დანამდვილებით ჰყავს 21 თავის პარტიის ამომრჩეველი, ხოლო ფედერალისტებს—17 და პარტიის გარეშეთ—4.

ქუთაისის მაზრაში მემამულეთა წრის პირველი არჩევნები გაუქმებულ იქმნა და დაინიშნა ახალი. ამ ახალ არჩევნების შედეგი ჯერ არ ვიცით, მაგრამ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სოციალდემოკრატები გაიმარჯვებენ და სამსავე თავიანთ კანდიდატს გაიყვანენ.

ამგვარად, ქუთაისის გუბერნიის ამომრჩეველთა უმრავლესობა სოციალდემოკრატებისაგან შესდგება და სათათბიროს წევრებადაც, რასაკვირველია, თავის პარტიის კაცებს აირჩევენ. და ასე, უკვე დღეს უზრუნველყოფილია საქართველოში ოთხ სოციალდემოკრატ დეპუტატის არჩევა რუსეთის სათათბიროსთვის.

როგორც ხედავთ, ხსენებულ პარტიის გამარჯვება ძალიან დიდია და ამის მსგავს რამეს, ალბად, თვით პარტიის მეთაურნიც კი არ მოელოდენ. ამის შემდეგ ჩვენ აღარ გავიკვირდება, ტფილისის გუბერნიაში და ბათუმ-სოხუმის ოლქშიაც თუ სოციალდემოკრატებმა გაიმარჯვეს და საპარლამენტო დეპუტატებად აქაც მარტო სოციალდემოკრატები აირჩიეს. მაშინ ჩვენ ვიხილავთ ასეთ სურათს: მთელს ერს პარლამენტში წარმომადგენლად ეყოლება მხოლოდ ერთი პარტია, რომელიც თავის თავს პროლეტართა პარტიას უწოდებს.

არჩევნების ასეთ შედეგის გამო არ შეიძლება არ იკითხოს დაკვირვებულმა მკითხველმა: ნუ თუ მართლა ქართველ ერის უმრავლესობამ სოციალდემოკრატიული მოძღვრება შეიგნო და ასე დემოკრატიულ აზროვნებით დაწინაურდა? ნუ თუ ჩვენ პოლიტიკურად აღზრდისა და შეგნების მხრით, უფრო წინ წავედით, ვიდრე ევროპა და ამერიკა?

სოციალდემოკრატიულ პარტიაში მოიპოვებიან ისეთი „იდეოლოგები“, რომელნიც თავიანთ საარჩევნო გამარჯვებიდან ასეთ დასკვნას გამოიყვანენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ამგვარ ოპტიმიზმით არ ვართ გატაცებული და გვგონია, რომ ეს ბიულეტენებით „გამარჯვება“ სოციალიზმისა არ არის მაჩვენებელი ქართველ ხალხის გასოციალისტების და მის დიდ პოლიტიკურ ცნობიერებისა. სოციალდემოკრატიული მოძღვრება, რომელიც სამრეწველო პროლეტარიატის იდეოლოგიაა par excellence, უმრავლესობის აზროვნების გამომხატველი ვერ იქნება იმ ხალხში, სადაც კაპიტალისტური წარმოება სრულებით განუვითარებელია და სწავლა-განათლებაც ძალიან მცირეა. ვისაც იმ საფუძვლით, რომ, მაგალითად, ოზურგეთისა ან სენაკის მაზრაში ამომრჩევლებად სოციალდემოკრატიის კანდიდატებმა გაიმარჯვეს, ჰგონია, რომ გურულებისა და მეგრელების უმრავლესობა გასოციალისტდა ან გასო-

ციალდემოკრატდა, ამგვარ ფიქრით გამოსთქვამს მხოლოდ თავის გულუბრყვილობას და უვიცობას და არა სინამდვილის გამომხატველ ჭეშმარიტებას. ბიულეტენების მოგროვება არ ნიშნავს კიდევ შეგნებულ პარტიულ ლაშქრის ყოლას და ამ ლაშქრის მიერ პარტიულ მოძღვრების შესისხლხორცებას.

საქმე ის არის, რომ სოციალდემოკრატია დღემდის ერთად-ერთი პარტია იყო ჩვენში, რომელიც ხალხში მოქმედობდა და მის სულსა და გულთან დაახლოებებას ცდილობდა. ის იყო მეთაური განმათავისუფლებელ მოძრაობისა ჩვენში, და ხალხიც მარტო მას იცნობდა ისეთ პარტიად, რომელიც თავგამოდებით ებრძოდა თვითმპყრობელობას. სოციალ-პოლიტიკურად ჯერ მოუმზადებელ ხალხის თვალში სოციალდემოკრატიას მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს დღესაც არა როგორც განსაზღვრულ ფილოსოფიურ მოძღვრების მქონე პარტიას, არამედ როგორც დემოკრატიულ მებრძოლ დასს, რომელიც ოპოზიციას უწევდა და ბრძოლას უცხადებდა ყველას მჩაგვრელს და სულის შემხუთველ პოლიტიკურ თვითმპყრობელობას. ამიტომაც ამ პარტიას ემხრობოდენ და დღესაც კიდევ ემხრობიან ხალხის ისეთი წრეებიც, რომელთა ეკონომიურ ინტერესებს თითქმის არავითარ მფარველობას არ უწევს ამ პარტიის პროგრამა.

კერძოდ არჩევნების დროს მას ემხრობიან და ხმას აძლევენ ხშირად ისეთი პირები, რომელთაც თითქმის საერთო არა აქვთ რა თვით პარტიის მოძღვრებასთან. იმ შემთხვევაში, როცა სოციალდემოკრატიის მოწინააღმდეგედ დგანან ქართული პარტიები, რომელთა პროგრამები ეროვნულ მოთხოვნილებათ შეიცავს, ჩვენში მცხოვრები რუსი ჩინოვნიკობა და სომხობა ყოველთვის ემხრობა და ხმას აძლევს სოციალდემოკრატიას, რომელიც კოსმოპოლიტობს და აღიარებს მხოლოდ კლასობრივ სოლიდარობას.

გარდა ამისა სოციალდემოკრატიამ შეჰქმნა ძლიერი პარტიული ორგანიზაცია, გაამრავლა პროპაგანდისტთა არმია, რომელიც საჭირო და აუცილებელი ძალაა პარტიის გასაძლიერებლად. ყოველ საჭიროების დროს პარტიას შეუძლია დაძახებისთანავე მოაგროვოს თავისი მომხრეები და პარტიულ გადაწყვეტილების თანახმად მომართოს მათი მოქმედება და, მაშაადამე, ხმებიც. და ვინ არ იცის, რომ ბრძოლაში 20 გაწვრთნილი კაცი უფრო ადვილად გაიმარჯვებს, ვიდრე ორასი — უდისციპლინო და დაქსაქსული.

ჩვენ არაფერს ვამბობთ, რასაკვირველია, ისეთ საშუალებაზე, რომელიც ზნეობის მხრით დასაგმობია და რომელსაც არჩევნების დროს ხშირად მიმართავდენ სოციალდემოკრატიის აგიტატორები და ამით ხმებს ჰმატებდენ თავიანთ კანდიდატებს. ასეთია დემაგოგიური „რეჩები“, სიყალბე (სხვისი სახელობრივ მოწმობებით სარგებლობა), ძალმომრეობა, მუქარა, დაშინება და სხვა ამგვარი.

ასეთი ისტორიისა და ენერგიის მქონე პარტიასთან ნაყოფიერად ბრძოლა მხოლოდ ენერგიულსავე და ორგანიზაციით მაგარ პარტიას შეუძლია. ჩვენში კი ასეთი ლონიერი პარტია არ იყო და ჯერაც არ არის, გარდა სოციალდემოკრატიისა. რასაკვირველია, ხალხის მოთხოვნილება და დრო ამას თან და თან შეჰქმნის, მაგრამ დღევანდელ დღეს კი სხვა პარტიები სრულიად მოუმზადებელნი შეხვდენ და ბრძოლაში სასტიკად დამარცხდენ. მათი პოლიტიკური გამოუცდელობა და მოუმზადებლობა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მათ საკუთარი თვალსაჩინო პარტიული ინტერესიც კი ვერ დაინახეს. ინის ნაცვლად, რომ ქუთაისში ეროვნული პარტიები — ავტონომისტ-დემოკრატიული და ფედერალისტური — შეერთებულიყვენ, ვინაიდან მათ ერთნაირი ეროვნული მოთხოვნილება აქვთ წამოყენებული და ამ მოთხოვნილებას დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში უაღრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, — ისინი დაიქსაქსენ და ცალ-ცალკე იწყეს მოქმედება. იმათ, შეერთებულთაც, დიდი შრომა და მეცადინეობა დასჭირდებოდათ ძლიერ სოციალდემოკრატიის დასამარცხებლად, არა თუ განცალკევებულად შესძლებოდათ გამარჯვების მოპოება. და ასე, ამგვარ ტაქტიკის წყალობით, ქუთაისში ოთხი ხმა დაჰკარგეს და ამით მთელი გუბერნია სოციალ-დემოკრატიას ხელში მისცეს.

მაგრამ ამგვარ „მიზეზების“ გამორკვევით არჩევნების შედეგი, რასაკვირველია, არ იცვლება და სოციალდემოკრატიის გამარჯვება გამარჯვებადვე რჩება. ამ პარტიის ასეთი გამარჯვება საქართველოს ეროვნულ იდეისა და მისწრაფების პირველი **პოლიტიკური** დამარცხება არის. ტფილისში საზოგადოდ პარტიულ და ეროვნებათა ძალების განწყობილება ისეთია, რომ ქართულ ეროვნულ პარტიებს არას გზით არ შეეძლოთ არჩევნებში გამარჯვება და ამიტომ, ასეთ გარემოებაში, ტფილისიდან ქართველ სოციალდემოკრატის გაგზავნა სათათბიროს დეპუტატად ჩვენთვის, ქართველებისათვის, სასიამოვნო და სასიხარულოა; მაგრამ საქართველოს სხვა ადგილებშიც სოციალდემოკრატიის გამარჯვება, უეჭველად, ახალ პოლიტიკურ სარბიელზე ქართველ ერის ხალხოსნურ დამარცხების მომასწავებელია. დღემდის პეტერბურგში საქართველოს ავტონომიის გაფთრებული მოწინააღმდეგენი იყვენ რუსი ბიუროკრატები და მონარქისტი თუ არა მონარქისტი „პატრიოტები.“ ახლა კი მათ ემატებიან თვით საქართველოს წარმომადგენელნიც, — ქართველი სოციალდემოკრატები... ამათი პარლამენტში წარმოთქმული სოციალისტური „რეჩები“ სოციალიზმს, საუბედუროდ, არც დღეს და არც ხვალ არ გაგვიხორციელებს, ხოლო პარლამენტის ტრიბუნიდან საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის უარყოფა და ჭორად გამოცხადება ქართველებისავე პირით არა თუ ბიუროკრატებსა და „პატრიოტებს“, არამედ „თვით“ კადეტებსაც დიდად აამებს და მხურვალე ტაშს დააკვრევინებს .. **ფ. გოგიჩაიშვილი**

ამნისტია?

ვის არ ახსოვს ოქტომბრის დღეები, როდესაც აღფრთოვანებული ხალხი, მანიფესტის მოსმენის შემდეგ, ერთხმად და დაჟინებით ითხოვდა ციხეებიდან იმათ განთავისუფლებას, ვინც თვითმპყრობელ რეჟიმის წარმომადგენელთაგან იყო დატუსაღებული ან გადასახლებული მხოლოდ იმიტომ, რომ იბრძოდა ხალხის გასანთავისუფლებლად, თვითპყრობელობის მოსასპობად და იმ უფლებების მოსაპოვებლად, რომელნიც 17 ოქტომბრის მანიფესტით მთავრობამ ხალხს „მიანიჭა“? ქუჩებში თავისუფლად მოლაპარაკე ხალხი ძალა-უნებურად იგონებდა მათ, ვინც ამ თავისუფლების გულისთვის იტანჯებოდა. . ამნისტია! გაისმოდა ხალხში, ამნისტიას იძახდა ყველა და, რაკი ამნისტიის ამბავი პეტერბურგიდან არ მოდიოდა, ზოგან ხალხი თვითონ მიდიოდა სატუსაღოსკენ და ძველ წყობილების მოწინააღმდეგეთ თავისუფლებას აძლევდა.

ახლაც ყოველ დღე ადამიანი პეტერბურგიდან ამნისტიის შესახებ დეპეშას ელის, სათათბიროს პირველი სხდომა თითქმის სრულად ამნისტიის შესახებ ლაპარაკს მოუნდა, სეფე სიტყვის საპასუხო ადრესში სათათბირომ სთქვა რომ მთავრობამ, მეფემ ამნისტია უნდა გამოაცხადოს...

რა არის ამნისტია, რომელსაც ყველა ასე მოუთმენლად მოელის, რა მნიშვნელობა აქვს თვით ამ მოლოდინს.

ამნისტია,—„ცოდვების" მიტევება, „დანაშაულის" პატიება. როდესაც ხალხი რომელიმე სახელმწიფოში ორ მოწინააღმდეგე და ერთმანეთში მებრძოლ ბანაკად გაყოფილია, ის მხარე, რომელიც გამარჯვებული რჩება, ხელს იღებს ხოლმე მოწინააღმდეგეთა დასჯაზე და მათ შესახებ ამნისტიას აცხადებს. ამნისტია—გამარჯვებულის უფლებაა, მის დიდსულოვნობის ან მის პოლიტიკურ ტაქტის საქმეა. ამნისტიას გამარჯვებული მხარე აცხადებს იმისთვის, რომ შეირიგის დამარცხებული მოწინააღმდეგე და ბრძოლის სიმწვავე მოსპოს.

ამნაირად, ამნისტია, როგორც ბრძოლის შედეგი, მაჩვენებელია იმისი, რომ ერთი მებრძოლი მხარეა გამარჯვებული და მეორე კი დამარცხებული.

შევხედოთ ამ თვალით ახლანდელ ამნისტიის მოლოდინს. ხალხი, რომელსაც, სათათბიროში წარმომადგენლების გაგზავნით, მისი თავი გამარჯვებული ჰგონია, ახლა ისევ ძველ თვითმპყრობელისაგან მოელის ამნისტიას, პატიებას, „დანაშაულის" დავიწყებას. თვით ის ფაქტი, რომ ხალხი ამნისტიას ითხოვს და მთავრობა ამნისტიას იძლევა, იმის საუკეთესო მომასწავებელია, რომ დღეს ფორმალურად მაინც ხალხი გამარჯვებულ მხარეს არ წარმოადგენს და რომ ეს სათათბირო და ხალხის წარმომადგენელთა მოწვევა ხალხს სახელმწიფოში ბატონად არა ხდის. მართალია, სათათბიროს ზოგიერთი წევრი ამტკიცებდა, რომ ყველგან ამნისტიის მიცემის უფლება მთავრობის, ან მეფის კუთვნილებას შეადგენს და ამიტომ აქ, რუსეთშიაც, სათათბიროს არ შეუძლია გადაჭრით მოითხოვოს ამნისტია მეფისგან, არამედ უნდა სთხოვოს მას ამ საჭირო წყალობის მიცემა, მაგრამ ეს შედარება აქ გამოსადეგი არ არის. სახელმწიფო, რომელშიაც მეფე და პარლამენტი შეთანხმებულად მოქმედობენ, ვერ შეედრება იმ სახელმწიფოს, სადაც ხალხი მტრულის თვალით უყურებს ძველ წყობილების წარმომადგენელ მთავრობას, და სადაც მეფე საჭიროდაც არა სთვლის ხალხის წარმომადგენელთაგან გამოგზავნილი კაცები მიიღოს და მათგან სეფე სიტყვის საპასუხო ადრესი მოისმინოს.

რუსეთში ხალხი ფორმალურად გამარჯვებული რომ ყოფილიყო, ამნისტიის მთხოვნელი ძველი წყობილების ერთგულნი იქნებოდნენ და არა ხალხი. დამნაშავეთა სკამზე და სატუსაღოებში ეს რეაქციონერები ჩამწკრივდებოდნენ და არა თავისუფლებისთვის მებრძოლნი.

მართლაც, ხალხი რომ ყოფილიყო გამარჯვებული, ნუ თუ კრინტის დაძვრაც იქნებოდა საჭირო, რომ ისინი, ვინც ხალხისთვის იბრძოდა, ახლა „მეფის წყალობით" განთავისუფლებულიყო სატუსაღოდან, რომ მისთვის მეფეს „დანაშაული" ეპატიებინა, არა! მასი საქციელი „დანაშაულად" არ ჩაითვლებოდა და ამიტომ მის პატიებაზე ლაპარაკის აღძვრაც მეტი იქნებოდა. ხალხის გამარჯვებას თავის თავად მოჰყვებოდა მათი განთავისუფლებაც.

თავისუფლების მებრძოლთათვის ამნისტიის მოთხოვნით და მოლოდინით რუსეთის საზოგადოებამ ნათლად დაამტკიცა, რომ იგი დღევანდელ მოძრაობაში გამარჯვებულად ჯერ ჯერობით იმას სთვლის, ვის ხელშიაც არის დღესაც ხალხის ქომაგთა დასჯის ან „პატიების" უფლება, და რომ, ამნაირად, ხალხის განთავისუფლების საქმე ჯერ კიდევ სრულად არ არის მოთავებული.

მხოლოდ მაშინ, როდესაც ამნისტიას მოითხოვენ ძველ წყობილების მომხრენი, როდესაც სხვა და სხვა ადმინისტრატორები, ხოცვა-ჟლეტის მეთაურები და ხალხის გამანადგურებლები ხალხის წარმომადგენელთაგან პატიებას ითხოვენ, როდესაც ხალხის სისხლში ამოსვრილები ხალხის წინაშევე თავიანთ დანაშაულს მოინანიებენ და როცა ხალხი, სახელმწიფოში უმაღლესის უფლებით მოსილი, ამ პატიებაზე თანხმობას გამოაცხადებს და თავის გუშინდელ მტანჯველების ამნისტიას გამოაცხადებს, მხოლოდ მაშინ შეიძლება გულდამშვიდებით წამოიძახოს ადამიანმა,—ხალხია გამარჯვებული!

ახლა კი მხოლოდ ამ გამარჯვების მოლოდინში და მზადებაში ვართ.

თ—დი.

ცეცხლითა და მახვილითა

(გაგრძელება)

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ჯარი დიდის სიფრხილით და მორიდებით გავიდა გვირაბით წიფაში, მაგრამ გული კიდევ ვერ დაიმშვიდა. ალბად რაზმელებმა ეს ადგილი უხერხულად სცნეს და გზა-და-გზა მთებსა და ღრე ბში ჩაგვისაფრდენო, იფიქრეს ჯარის უფროსებმა და, სამხედრო თათბირის შემდეგ, გადასწყვიტეს, რადგან უვირილის სადგურამდე მატარებელი არ დადიოდა, წასულიყვნენ ფეხით, მხოლოდ რკინის გზის ლიანდაგზე კი არა, არამედ მთა-მთა, ორივე მხარეს სოფელ-სოფელ და ამ გვარად ჩასულიყვნენ ყვირილაში. გარდაწყვეტილება სისრულეშიც მოიყვანეს და ჯარი, საომრად გამზადებული, წამოვიდა მთებზე. წარმოიდგინეთ, რა დღე დაადგებოდა სოფლებს, რომელიც მათ გზაზე დახვდებოდათ, მაგრამ ეს ამბავი დროზე გაიგო შორაპნის მაზრის უფროსმა ნ. ტატიშვილმა, წაიყვანა ერთი მატარებელი ყვირილიდან და გაემგზავრა წიფისკენ ჯარის წინ შესახვედრად ამ დროს ჯარი უკვე მოლითის მიახლოვებოდა. ჯარის უფროსი პოლკ. ჩიქოვანი მოლითის სადგურზე ჩამოსულიყო და იქ უცდიდა ჯარის თავის მოყრას.

მაზრის უფროსს გზა და გზა და თვით მოლითშიაც უხვდებოდა ხალხი და ემუდარებოდა, გვიშველეთ რამე, რკინის გზით წაიყვანეთ ჯარი, თორემ სოფლებს ერთიანად გაანადგურებენ და სულ მთლად დავიღუპებითო.

მაზრის უფროსმა ურჩია ჯარის უფროსს, ჯარი მატარებლით წაეყვანა. ჯარის უფროსმა ეჭვის თვალით შეხედა ამ წინადადებას, მაგრამ შემდეგ დაეთანხმა და მატარებლით წასვლა გადასწყვიტა.

ზევითაც მოვიხსენიეთ, რომ მოლითში კაზაკებმა მოჰკლეს ხაშურის სადგურის მეისრე ინასარიძე და ერთიც სხვა. ოსიაურის მცხოვრები, რომელიც მხარზე თოფ გადაგდებული გზაზე მიდიოდა. ამას გარდა, სანამ მაზრის უფროსი ამოვიდოდა და სანამ მეორე მატარებელი მოვიდოდა ჯარის წასაყვანად, გავიდა სამი დღე. ამ ხნის განმავლობაში ჯარმა გატეხა რამდენიმე მაღაზია და ღვინის დუქანი და, რაც წასაღები იყო, წაიღეს, რაც შესაჭმელი და დასალევი,—შეჭამეს და დალიეს.

მოლითის სადგურზე ჯარი ღამე მივიდა და მაშინვე ალყა შემოარტყა. აფიცრები შევიდნენ სადგურში და დაატუსაღეს სადგურის უფროსი, მისი თანაშემწე, ტელეგრაფის მოხელე და სხვა კიდევ, ვინც იმ დროს იქ იყო.—რად გვატუსაღებთ?—შეეკითხნენ ტუსაღები.—იმიტომ, რომ თქვენც რევოლუციონერები ხართ, რევოლუციონერებს ხელს უწყობდით, წინააღმდეგობას არ უწევდით, გიხაროდათ ხალხის გამარჯვებაო. შემდეგ გაჩხრიკეს სადგურის კასსა და მოსამსახურეთა სადგომები და, რომ ვერ ნახეს ვერავითარი უწესოება და ვერავითარი იარაღი, დატუსაღებულნი განთავისუფლეს.

9 ივნვარი იყო, როცა ეს ჯარი მატარებლით ევირიდასკენ დაინძრა. როგორც კი მატარებელი გაჩერდა ზესტაფონში, ჯარის კაცები გადმოხტენ ვაგონებიდან და მარჯვნივ და მარცხნივ ასტეხეს საშინელი სროდა.

თავ-ხარ-დაცემულნი მცხოვრებნი გაიფანტენ და შენობებს შეაფარეს თავი. შოჭკლეს მხოლოდ ორი კაცი. დიდი ცდა და ჯაფა დასჭირდა უფროსებს, რომ კამეცეული ჯარის კაცნი ვაგონებში ჩასხსნა და კასპს გასდგომოდენ. ჯარის უფროსმა თან გაიყოლა მაზრის უფროსიც. აი ამ ეშელონს შესვდა დელეგატების მატარებელი სვირში, სადაც ცხრა კაცი დახვრიტეს.

მეორე დღეს მივიდენ ბლსტუნები და დაიწყო ცარცვა-გლეჯა მადაზიებისა და ხალხისა. მადაზიებიდან და სახლებიდან რომ გამოიტანეს, რის გამოტანაც შეეძლებოდა, მისცეს ცეცხლი შენობებს და ევირიდის ერთი ნაწილი მოდად გადაბუგეს. გადაწვა სხვათა შორის ევირიდის თეატრი, რომელიც მხოლოდ რამდენიმე წელიწადია რაც ვი ვაკლახითა და გაჭირვებით ააშენა ევირიდის საზოგადოებამ.

ბლსტუნები იმავე დღეს წავიდენ გურიისაკენ. მეორე დღეს დაბაში გავარდა ხმა, ბლსტუნების მეორე ეშელონი მოდისო. მცხოვრებლებს ხელ-მეორედ თავზარი დაეცა, ეგონა ანებებდა თავს სახლკარს, ქონებას და ცოდშვილით გარბოდა ახლო-მახლო სოფლებსა და ტყეებში. სადამის ექვს საათზე ჩამოვიდა ტფილისის ბოლკი ბოლკ. გაერიდოვის უფროსობით. ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა, გაუხარდა კიდეც მაი მოსვლა.—კასპკები არიან, რაც არიან, თორემ ტფილისის ბოლკში ჩვენი სადღეგრძელოებიც ბევრი ურევია და აბა ისინიც რას გვერჩიანო —ამბობდა ხალხი და თან და თან გულს იმშვიდებდა. მაგრამ, რაც და მერთაუვირიდას, ამ ბოლკმა დამარცხა. ამგვარი სიმხეცე და დაუნდობლობა არც კასპკებსა და არც სხვა ბოლკების სადღეგრძელოებს არ გამოუჩენია.

სწორედ ამ ჯარმა გადასწვა სარაგულის მთელი ბაზარი. იქვე გადასწვეს სახლები კეკნაძისა (რაზმელი იყო), სეფერელიძისა და ჭინაშვილისა. ვისაც შეეხვდებოდენ, ყველას უმოწყალოდ სცემდენ, ადარ არჩევდენ, ქალი იყო, დიდი თუ პატარა, მდედელი თუ ერის კაცი.—აქ დატეხეს ჩვენი ძმები, აქ მოიტანეს ჩვენი თოფებიო, ცოფებ-მორეული გაიძახოდენ სადღეგრძელოები.—სულ კვეფეტავო, ცეცხლს წავუკიდებთ, გადაწვავთ აქაურობასო.

როგორც ამბობენ, ამ ჯარს შორაპნის სადგურზე დახვდა ფეოდოფეტელი იმ როტისა, რომელიც ჭიათურაში იყო დატეხეტებული, და ისე ადეოდეს თურმე ჯარი სხვა და სხვა მოჭორილ ამბებით, რომ გარდასწყვიტეს, ბრალიანი და უბრალო არავინ დაენდოთ.

ამ გვარად ადეოდეთ ჩამოვიდენ ისინი ევირიდაში. დამე რამდენიმე ადგილს შენობებს გაუჩნდა ცეცხლი. არ გასულა ერთი საათი, რომ მთელი დაბა ცეცხლში იყო გახვეული. ირგვლივ რამდენიმე ვერსზე არე-მარე ისე იყო განათებული, რომ წიგნის კითხვა თავისუფლად შეიძლებოდა.—უსაზარდეს სურათის წარმოდგენა შეუძლებელია, —მოგვითხრობს ერთი მოხელის მეუღლე, — მთელს დაბას ცეცხლი ეკიდა. რკინის გზის დიანდაგის ზევით, ფერდობზე გაშენებული მადაზიები და სახლები, წეალს კალმა-კამოდმა ჩამწკრეოვებული დუქნები და მადაზიები მოდად ადში იყო გახვეული. არ ეკიდა ცეცხლი მხოლოდ რკინის გზის სადგურს და ამ ადგილს, სადაც სამაზრო ხაზინის შენობა სდგას, მცხოვრებლები ადარსად სწყნდა. დაბაში დათრეშობდენ ჯარის კაცები, ცეცხლისგან განათებულ ქუჩებში სიჭარბოდ მირბი მორბოდენ ჯგუფ-ჯგუფად შავი აჩრდილნი, როგორც სინემატოგრაფში. ისმოდა სასაცილო გუგუნი. რკინის დოქებით ამტეგრეოდენ მადაზიების კარებს, რომლებიც ჯერ კიდევ გაძარცული არ იყო. ვით ზარბაზანი სკდებოდა ცეცხლისგან გახურებული შენობების ქვები. ეგეოდა ამას ზედ ერთოდა მთვრალ ადამიანთა ყვირილი. ღვინით სავსე რუმბები გამოგდებდა ქუჩებში, სვამდენ და იქვე მიწაზე ეცემოდენ. ამ ორგიამ გათენებამდის გასტანა.

რასაკვირველია, იმ დამეს არავის არ ეძინა. ეგეოდა უდარაჯებდა თავის სახლს იმ დრომდე, ვიდრე ახლო-მახლო არ გაჩნდებოდენ გამეცეცეული ჯარის კაცნი. შემდეგ, ვისაც შეეძლო, ფეოდით იხსნიდა თავის სახლს გადაწვისაგან, ვისაც არა და—გარბოდა ტოდშვილით მახლობელ ტყეში.—აქ ეგეოდა „ერთობაზეიკია“,—ამბობდენ ჯარის კაცნი, როდესაც რომელიმე მოხელე მუნდირით, ჯვრებითა და ორდენებით გადუდგებოდა წინ ჯარის კაცებს და ეტეოდა: აი შემომხედეთ, მე მოხელე ვარ, ამ სახლში ვდგეკარ, ნუ დასწვავთ ჩემს სახლსო.

დიდა რომ გათენდა, ადამიანის თვალს წარმოუდგა საშინელი სურათი. ზესტაფონი ადარ იყო. ცხოვრება შესწყდა, მცხოვრებნი ადარ სჩანდენ. აქა-იქ ეყარნენ დოთობისა და მუშაობისაგან დაღლილ-დაქანცული ჯარის კაცნი. შენობების ნახევრად ჩამონგრეული ქვის კედლები შავად გამოიყურებოდა, ერთი ვერსის სიგრძეზე ჩამწკრივებული მადაზიები და დუქნები, სადაც სდუღდა ცხოვრება, სადაც დიდიდან სადამომდის სადხი ბუზივით იერეოდა, ეიდულობდა და ეიდდა და მრავალ-გვარ საქმეს აკეთებდა, უცბად მოისპო. მოისპო აუარებელი ქონება, ჩაკვდა ცხოვრება და მრავალ წლობით, წვითა და დაგვით მოგვარებული საქმე ერთის ხელის მოქნევით მოისპო, განადგურდა, ფერფლად იქცა. ვინც გუშინ დაჭხარობდა წლობით შეძენილს ქონებას, დღეს ზედ დასტიროდა. ვისაც გუშინ ოჯახი სავსე ჭქონდა, დღეს დარჩა ულუგმა-ზეროდ, შიშველ-ტიტველი ღვთის ანაბარა. ზესტაფონისა და ახლო მახლო სოფლების მცხოვრებნი ირგვლივ შემორტყმულ გორებიდან გადასტქერიდენ ფერფლად ქცეულს ზესტაფონს და ვერ გამორკვეულიყვენ, ეს რა უბედურება დასტეხეთ თავზე და შემდეგში კიდევ რა მოელოდათ.

„მტერმა“ დაიკარა ეს მთავარი „ქალაქი“ და მიჭეო ხელი ახლო-მახლო ადგილების დაბერობასა და თავის კანონების გამოცემას, დაიწყო სახლების ჩხრეკა და საეკვო პირების დატუსაღება; გზები შეჭკრეს, ყველგან დარაჯები ჩაუყენეს და გამეფდა სამხედრო დიქტატურა.

ჯარი დაბანაკდა ზესტაფონში და აქედან ჭკზავნიდა პატარ-პატარა რაზმებს სხვა და სხვა სოფლებში, სადაც ატუსაღებდენ ბრიგადგანდილტებს, წიოელ რაზმელებს, ასისა და ათის თავებს და მოწყალების დებს. რასაკვირველია, ყველა ამასთან ერთად ეს რაზმები დათარეშობდენ სოფლებში, აძარცვავდენ, აწიოკებდენ, ქალებს აუპატიურებდენ და ძლეგა მოსილნი ბრუნდებოდენ, ზესტაფონში, სადაც მათ მოელოდათ უფროსების ქება და მადლობა. ვინც მეტს შენობებს გადასწვავდა, ვინც მეტად აწიოკებდა ხალხს, ვინც მეტ სიმკაცრეს და სიმხეცეს გამოიჩენდა, მეტს მადლობას მიიღებდა, ვინც ტოტალურ ადამიანობას გამოიჩენდა, ვინც სიბრალულის გრძნობას აჭეეგებოდა და ათი ოჯახის მაგივრად, შვიდს გადასწვავდა, ან, როდესაც შეატეობდა, რომ ჯარის კეთა ადეირ-წაჰსრილობა სამზღვარს გადასცდებოდა, ამათ ეტეოდენ: გეეოფეთ ახლა, კმარაო, — იმას სამშობლოს მტრად სოფლიენ და მაშინვე „დანოსები“ მიჭქროდა უფროსებისკენ.

ერთმა უფროსმა ათეიცერმა მოიხმო უმტროსი ათიცერი და უთხრა: თქვენ უნდა წახვიდეთ ამ და ამ სოფელში, წაიეგენეთ ოცდა ათი კაცი და წადით. სოფელს მოსთხოვეთ იარაღი, ბრიგადგანდილტები და რაზმელები. თუ სოფელმა არ მოგცეთ ეველა ეს, გადასწვეთ ორი ან სამი სახლი და წამოდითო. ათიცერმა შეასრუ-

და ბრძანება უფროსისა, მხოლოდ ორი, ან სამი სახლის მაგივრად ნახევარი სოფელი გადაბუგა და გაბარჯვებული დაბრუნდა „რაპორტით“ უფროსთან. უფროსს წინდაწინვე კაკეგო გმირობა ამ ოფიცრისა და დაუწეო საკვედურები: რა ჭკვნიო ეს? რა ჩაიდინეთ, დმერთი არა გაქვთ, რაზე დადუპეთ მთელი სოფელი? სომ გითხარით, თუ სოფელმა სრულიად არ დაკმაუოფილოს თქვენი მოთხოვნილებანია ორი ან სამი სახლი გადასწვეთ და წამოდ თ მეთქი ეს ხომ უსვინიდისობაცაა და ბრძანების აუსრულებლობაც?!

ოფიცერმა იქ უფროსს ხმა არ გასცა, წამოვიდა თავის ამხანაგებთან, მოიხსნა ხმალი და ამხანაგების წინ დაკგდო: „მე სამსახური არ შემიძლიან—განაცხადა ოფიცერმა—მე სულით და გულით ვემსახურები ხელმწიფეს და სამშობლოს და იმის, მაგივრად, რომ მადლობა მივიღო, შენიშვნას და რაღაც სულელურ „დარიგებას“ მაძლევენ.

— ვინ, ვინ არის მაგისთანა?—წამოცვივდენ ზეზე ამხანაგები.

— აი კაპიტანი (დასასხელა ოფიცერმა) მერე იცით, რად შემოათხა? იცით რად ებრალება ქარიველები? იმიტომ რომ... ჰოდონელია.

— აააა!—დაიძახეს ამხანაგებმა—მაშ კარგი, ახლა ჩვენ ვიცით!

დიდი ხიფათი მოელოდა თურმე ამ ჰოდონელ ოფიცერს, რომ უფროსს არ ეჯავა და ის ოფიცერი სხვაგან არ გადაეგზავნა.

შემდეგ რა მოხდა? იგივე, რაც მოხდა სხვა ადგილებში. იგივე სურათი ჰურმარიდით დახვდრისა და დაჩოქებისა, იგივე მკვლელობანი, ძარცვა გლეჯა, გადაწვა და ქალების კაუპტიუ ება; „тѣ же и Мартынъ съ балалайкой“, როგორც ამბობენ რუსები. ჩვენ აქ მხოლოდ მოვიხსენიებთ ზოგიერთ ფაქტებს, რომლებიც ოვისის ელფერით და სიმსუბუქეთ განირჩევიან იმ ფაქტებისგან, რომელსაც ადგილი ჰქონდა საშურს, სერბსა, ცხინვალსა და სხვაგან.

სგ. ᲣᲜᲘ

(შემდეგი იქნება)

მინისტრთა პასუხის მგებლობა

ყოველნაირ უფლებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა და ფასი, თუ იგი უზრუნველყოფილია. ხალხს თავისთავად და ნებაყოფლობით არასდროს არ ეძლევა ესა თუ ის უფლება, იგი ყოველთვის მოპოვებულია ძალით და ის, ვინც ეს უფლებები დაუთმო ხალხს, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ როგორმე ძალა მოიკრიბოს და უკანვე დაიბრუნოს დანაკარგი.

ისტორია სავსეა ასეთ მაგალითებით. 1848—49 წლებში სხვა და სხვა მთავრობას ხშირად უცდია დანაკარგის დაბრუნება და ზოგჯერ მიუღწევია კიდეც მიზნისთვის. ასევე მოიმოქმედა შარშან და წრეულს რუსეთის მთავრობამაც. მთავრობამ 17 ოქტომბრის წინანდელ დროის დაბრუნება მანიფესტის გამოცემის მეორე დღესვე სცადა და იმ უფლებებს, რომელიც ხალხმა მოიპოვა ხანგრძლივ და მედგარ ბრძოლის შემდეგ, საკმაოდ დიდი ნაკერი ჩამოათალა.

მაშასადამე, საჭიროა ისეთი საშუალება, რომლითაც შეიძლებოდეს თავისუფლების მოწინააღმდეგეთა ალაგმვა. უწინ ხალხი მეფის დაპირებას ენდობოდა და დანაპირების შესრულებას უცდიდა, მაგრამ თითქმის ყოველთვის მოტყუებული რჩებოდა. მართალია, ზოგ მეფეს ხალხის მოტყუება ძვირად უჯდებოდა, ზოგჯერ მოთმინებიდან გამოსული ხალხი მატყუარა მეფესაც და იმის ტახტსაც მტვრად აქცევდა ხოლმე, მაგრამ ასეთი ამბავი განსაკუთრებული შემთხვევა იყო, უმეტეს შემთხვევაში კი მეფეები ყურსაც არ იბერტყავდენ და თუ შესაძლებელი იყო, მეორე დღესვე იბრუნებდენ დაკარგულ უფლებებს.

სხვა გარანტიათა შორის მინისტრთა პასუხის მგებლობა პარლამენტის წინაშე ერთი უძლიერესი იარაღია კონსტიტუციის ხელუხლებლობისა. მინისტრები პასუხისმგებელნი არიან აღმასრულებელ მმართველობის მხრით საერო წარმომადგენელთა წინაშე. ისინი ნიშნავენ ყოველგვარ მოხელეებს, მაშასადამე, დარწმუნებულნი უნდა იყვენ, რომ ესა თუ ის მოხელე შეეფერება ამა თუ იმ თანამდებობას, ისინი ახორციელებენ პარლამენტის დადგენილებას და ყოველ ახალ კანონს, თვალ-ყურს ადევნებენ პარლამენტის მოქმედებას და ამიტომ მოვალენი არიან, ყოველი თავიანთი განკარგულება და ნაბიჯი ხალხის წარმომადგენელთა სურვილს შეუფარდონ. საერთოდ შემჩნეულია, რომ იქ, სადაც მინისტრები პასუხის მგებელნი არიან პარლამენტის წინაშე, მინისტრებად საუკეთესო მცოდნე და ხალხის ერთგულ კაცებს ირჩევენ; იქ კი, სადაც მინისტრები პასუხის მგებელნი არ არიან, ისინი მხოლოდ გულცივი და მშრალი ბიუროკრატები არიან.

მინისტრების საუკეთესო პასუხისმგებლობისთვის საჭიროა, რომ მათი პასუხისმგებლობა იყოს პოლიტიკური, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო. პოლიტიკური პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს მხოლოდ პარლამენტალურ სახელმწიფოში, სადაც მინისტრები ინიშნებიან პარლამენტის უმრავლესობიდან. მეფეს ან პარლამენტს ნება არა აქვს მინისტრები თავის სურვილით დანი ნოს მეუმცირესეთაგან ან ისეთებისგან, რომელნიც პარლამენტის წევრებად არ არიან. პარლამენტალურ სახელმწიფოში მთავრობა იმით არის ძლიერი, რომ მას პარლამენტის უმეტესობა ენდობა. თუ მან ეს ნდობა დაჰკარგა, სამინისტრო მოვალეა სამსახურიდან გაკიდეს და ადგილი სხვას დაუთმოს.

სამინისტროს პასუხისმგებლობა ყოველთვის კოლექტიური არ არის. შეიძლება პარლამენტმა მხოლოდ ერთს, ან ორსა და სამ მინისტრს გამოუცხადოს უნდობლობა და სამსახურიდან გადააყენოს. ასეთ შემთხვევაში მინისტრ-პრეზიდენტი მათ მაგივრათ ახალ მინისტრებს ნიშნავს და მთელი სამინისტრო ისევ რჩება სამსახურში. მაგრამ მინისტრ-პრეზიდენტი თუ მთელ სამინისტროს სახელით გამოესარჩლა დამნაშავე მინისტრს, მართლება დაუწყო და მასთან ერთად იკისრა პასუხის მგებლობა, მაშინ შეიძლება მთელი სამინისტროც გავიდეს სამსახურიდან გარდა ამისა სამინისტრო მეფის მაგივრადაც აგებს პასუხს პარლამენტის წინაშე. ინგლისსა, საფრანგეთსა, მვეიცარიასა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოშიაც მეფის ან პრეზიდენტის განკარგულებას არავითარი ძალა არა აქვს, თუ მას ერთი ან რამდენიმე მინისტრიც არ აწერს ხელს. ამიტომ, თუ მეფემ ან პრეზიდენტმა უკანონო განკარგულება მოახდინა, დანაშაულს მინისტრებს ახვევენ თავზე და პასუხის გებაში აძლევენ, თუ, რასაკვირველია, მეფის განკარგულებაზე მინისტრებსაც ხელი უწერიათ, თუ არა და მეფის განკარგულებას კანონიერი ძალა არა აქვს.

მინისტრთა პასუხის მგებლობა პარლამენტის წინაშე შეუძლებელია არა პარლამენტალურ, დუალისტურ სახელმწიფოში, სადაც მინისტრებს ხელმწიფე ნიშნავს თავის ნებით. ავსტრიაში, პრუსიაში და განახლებულ რუსეთში მინისტრებად ინიშნებიან მეფის მოხელენი, რომელნიც, შეიძლება, პარლამენტის წევრნიც არ იყვნენ და, მაშასადამე, არც ხალხის ნდობით იყვენ აღჭურვილნი. ხშირად მომხდარა ისეთი მაგალითი, რომ პარლამენტის უმეტესობას გაუკი-

ცხავს სამინისტრო და მისთვის უნდობლობა გამოუცხადებია, მაგრამ სამინისტროს ყურიც არ გაუბერტყია და სამსახურიდან არ გასულა მხოლოდ იმიტომ, რომ მეფეს არ სურდა მათი სამსახურიდან გადაყენება! მართალია, დუალისტურ სახელმწიფოთა კონსტიტუციებშიაც არის ისეთი მუხლი, რომლის ძალით მინისტრები პასუხისმგებელნი არიან, მაგრამ ვის წინაშე, ვინ არის მათი მოსამართლე? მხოლოდ მეფე და სხვა არავინ. ასეთ სახელმწიფოებში მინისტრები პასუხს აძლევენ დეპუტატების შეკითხვაზე, თავს იმართლებენ, მაგრამ, თუ გამტყუნდენ და გაიკიცხენ, მაინც თავისუფლად შეუძლიანთ თავიანთ ადგილებზე დარჩენ და მეფის დახმარებით წინანდელივით განაგრძონ უკანონობა და ძალმომრეობა.

პარლამენტის წინაშე პასუხის მგებლობის გარდა მინისტრები ყოველ სახელმწიფოში პასუხის მგებელნი არიან სასამართლოს წინაშე. მაგრამ აბსოლუტურ სახელმწიფოებში ასეთი პასუხის მგებლობა უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ქაღალდზეა დაწერილი, ნამდვილად კი სასამართლო მათ თითქმის არას დროს არ ეხება. პირველი მაგალითი მინისტრის გასამართლებისა მოხდა 1376 წელს ინგლისში. ქვედა პალატამ ლორდთა პალატის წინაშე უჩივლა ორ მინისტრს, რომელნიც ზედა პალატამ დაუყოვნებლივ გადააყენა სამსახურიდან. რიჩარდ მე-II-ის დროს გაასამართლეს და გაამტყუნეს რობერტ დე-ვერი, მიშელ დე-ლა-პოლი და გრაფი სუფოლკი, რომელნიც 1381 წელს მომხდარ გლეხთა აჯანყების დროს და შემდეგაც სამეფო საბჭოს ხელმძღვანელობდენ ამათ აბრალებდენ სასახლის მიერ უზომოდ ფულის ფლანგვას, ომის წაგების და მეფის რამდენიმე საქციელს, რომლითაც მეფესა და მის მომხრეთ პარლამენტის გაუქმება უნდოდათ. ბრალდებულთა შორის იყვენ მეფის მახლობელი მრჩეველნი, გაიქცენ არისტოკრატები და მეფის საყვარელი ქალები, რომელნიც მეფეს ცუდ აზრებს აგონებდენ და ბოროტ რჩევას აძლევდენ. 1626 წელს ქვედა პალატამ ლორდთა პალატის წინაშე უჩივლა კარლოს 1-ის დიდ მეგობარს ლორდ ბეკინგამს, რომელსაც ქრთამების აღებისა და ხაზინის გაქურდვას აბრალებდენ. ბრწყინვალე ლორდს მექრთამეობაც დაუმტკიცეს და ქურდობაც, მაგრამ მეფემ მისი დანაშაული თვითონ იკისრა, ბრალმდებელნი საპყრობილეში ჩასხა და პარლამენტი დაითხოვა. 1678 წელს ლორდმა დენბიმ ხელი მოაწერა ისეთ ქაღალდს, რომელიც ცხადად ამტკიცებდა, რომ ინგლისის მეფე კარლოს II საფრანგეთის მეფისგან პენსიას იღებდა. ეს ამბავი პარლამენტმა გაიგო და დენბის საბრალმდებლო ოქმი შეუდგინა. მას ამტყუნებდენ იმაში, რომ 1) მონაწილეობა მიიღო სიმაგრე კალეს გაყიდვაში, 2) ხელს უწყობდა პაპიზმს, 3) ფლანგავდა სახაზინო ფულს, 4) მეფეს პარლამენტის დათხოვნას ურჩევდა და 5) საიდუმლო მოლაპარაკება გამართა ინგლისის მოსისხლე მტერთან, საფრანგეთის მეფე ლუი მე-XIV-სთან. დენბი სასჯელს ასცდა. ამისთანა მაგალითი ბევრი იყო ინგლისის ისტორიაში. მაგრამ ლორდთა პალატა ყოველთვის ამართლებდა ბრალდებულ მინისტრებს და გუბერნატორებს. მაგრამ ინგლისელებმა საამისო ხრიკიც მალე მოიგონეს: ლორდთა პალატას მოსამართლის უფლებები ჩამოართვეს და იმ დღიდან ყველას,—მუშას, გლეხს, გრაფს, მდიდარსა და მინისტრსაც ასამართლებს ჩვეულებრივი სასამართლო.

საფრანგეთში დეპუტატთა პალატას ნება აქვს მინისტრები სენატს გადასცეს გასასამართლებლად. 1830 წელს, რევოლუციის შემდეგ, დეპუტატთა პალატამ უჩივლა მთელ სამინისტროს, რომელსაც ბრალად სდებდა „არჩევნების დამახინჯებას იმ აზრით, რომ ხალხისთვის თავისუფლება წაერთმიათ“ და სამოქალაქო ომის გამოწვევის სურვილს მერთა პალატამ მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფს პოლინიაკს გადაუწყვიტა უფლებათა ჩამორთმევა და სამუდამო დაპატიმრება, დანარჩენ სამ მინისტრს გადაუწყვიტეს სამუდამოდ დატუსაღება. სასამართლოს დადგენილება შესრულებულ იქმნა.

საზოგადოდ მიღებულია, რომ მეფეს ან პრეზიდენტს ნება აქვს დამნაშავეს დანაშაული აპატიოს და სასამართლოს დადგენილება გააუქმოს. ცხადია, რომ მეფე ყოველთვის მოინდომებს ამ უფლებით სარგებლობას და დასჯილ მინისტრს სასჯელს აპატიებს, მაგრამ ამ შემთხვევაში კონსტიტუციით მეფეს უფლება აქვს დამნაშავე მინისტრს დანაშაული აპატიოს მხოლოდ მაშინ, თუ პარლამენტი შესაფერ შუამდგომლობას აღძრავს. თავის ნებით მეფეს ნება არა აქვს სასამართლოს დადგენილება გააუქმოს და მინისტრი სასჯელს გადაარჩინოს.

არც კონსტიტუციას და არც მინისტრთა პასუხის მგებლობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ერთიც და მეორეც უზრუნველყოფილი არ არის რეალურ ძალთა განწყობილებით და ურთიერთობით, რაც ბრწყინვალედ დაამტკიცა ფერდინანდ ლასალმა. დაწერილ კონსტიტუციას და კანონებს მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, თუ ხალხს შეუძლიან მისი დაცვა. კონსტიტუციანი ორ ნაირია: კლასიური და დემოკრატიული. თუ სახელმწიფოში ძალა რომელიმე კლასის ხელშია, პოლიტიკური ბატონობაც მას ეკუთვნის. თუ რეალური ძალა დემოკრატიის ხელშია, ასეთ სახელმწიფოში მარტოოდენ თავად-აზნაურობისა და კაპიტალისტების ბატონობა შეუძლებელია. ყოველი კონსტიტუცია გამომხატველია სახელმწიფოში მომქმედ ძალთა განწყობილებისა და ამიტომ მინისტრთა პასუხის მგებლობასაც მხოლოდ იმ სახელმწიფოში აქვს ნამდვილი მნიშვნელობა, სადაც დემოკრატიულ ელემენტებს რეალური ძალა აქვთ. წინაალმდეგ შემთხვევაში დაწერილ კანონებს მინისტრთა პასუხისმგებლობის შესახებ არავითარი პრაკტიკული მნიშვნელობა არა აქვს.

ფართო თავისუფლება, დემოკრატიული კონსტიტუცია, დემოკრატიული კანონები და დემოკრატიული დაწესებულებანი შესაძლებელია მხოლოდ იმ სახელმწიფოში, სადაც ხალხს ძალით მოუპოვებია ყველა ეს და შემდეგშიაც ძალით დაიცავს და გააფართოვებს თავის უფლებებს. მ.

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲜᲘ

(ლ. გალიჩის წერილიდან)

დემოკრატიულ პარტიებს ზოგიერთები „ზომიერებას“ სწამებენ და უსაყვედურებენ,—„ლაპარაკის“ მეტს არაფერს არ აკეთებთო, „საქმეს“ უფრთხით და „ბრძოლას“ ერიდებითო. ასეთ საყვედურს განსაკუთრებით „მართლმორწმუნე“ მარქსისტები ამბობენ და, მართლაც, მათ თვალში ყოველი არა მარქსისტული სახელმწიფო რეფორმა რეაქციონერი და დასაგმობია. ამ „მართლმორწმუნე“ პოლიტიკოსებისთვის „ულენინო თავისუფლება“ ჩირად არა ღირს. ასეთი სექტანტური აზროვნება მათგან სრულებითაც გასაკვირველი არ არის, რადგანაც მათი პოლიტიკური შორს-მხედველობა დღესაც კიდევ ენენევის სამასლაათო კრებებს ვერ გასცილებია.

პოლიტიკურ პარტიის ტაქტიკა საზოგადო ცხოვრების რთულ პირობებზეა დამოკიდებული და ამიტომ მხოლოდ აჩქარებულ მსჯელობის პატრონს შეუძლია მის დასაფასებლად მხოლოდ ორიოდე გაზეპირებული შაბლონური წინადადება იკმაროს. პარტიის ტაქტიკა საზოგადო ცხოვრების რთულ პირობების მიხედვით იცვლება. სახელმწიფოში გაბატონებულ წრეებთან ბრძოლას, ამიტომ, დიდი მოფიქრება და ძალთა აწონ-დაწონა სჭირია.

I

ყოველ ბატონობას ორნაირი საფუძველი აქვს,—ფიზიკური ძალდატანება და ზნეობრივი გავლენა. იყო დრო, როდესაც სახელმწიფოში გაბატონებული უმცირესობა მხოლოდ თავის ფიზიკურ ძალით იმორჩილებდა ხალხის უმეტესობას და არ ცდილობდა თავის ბატონობისთვის რამე ზნეობრივ საფუძველი გამოენახა. ჟაკერიის დროს მაგ., ქალაქ ლატურელში შესულა 27 კარგად შეიარაღებული მემამულე. ამ ჰატარა რაზმმა მუსრი გაავლო აჯანყებულ გლეხობას და ათასზე მეტი კაცი დახოცა,—თვითონ კი უვნებლად გადარჩა.. ან რას დააკლებდა მთლად რკინაში ჩასხმულს და იარაღის მოხმარებაში გავარჯიშებულ მემამულეს უბრალო კეტებითა და ცულებით შეიარაღებული გლეხობა! იმ დროს მემამულე ყურადღებასაც არ აქცევდა იმას, კმაყოფილი იყვნენ მის ბატონობით გლეხები, თუ არა. იმათი უკმაყოფილება ვერაფერს ვერ დააკლებდა „ბატონს“, რომელსაც თვითონ, სხვის დაუხმარებლადაც ადვილად შეეძლო ურჩ გლეხების დასჯა, გალახვა და ჩამორჩობა.

აქ ბატონობა მხოლოდ ფიზიკურ ძალადობაზე იყო დამყარებული,—ზნეობნივ გავლენას, დამორჩილებას აქ არავითარი ადგილი არ ჰქონდა. სამაგიეროდ, ძველ საბერძნეთის რესპუბლიკებში, თავისუფალ მოქალაქეთა გაბატონება მონებზე მარტოოდენ ზნეობრივ დამორჩილებაზედ იყო აგებული. მართლაც, გაბატონებულ უმცირესობას მონების საწინააღმდეგოდ არავითარი მუდმივი ჯარი ან სხვა რომელიმე ფიზიკურ დამორჩილების საშუალება არ ჰქონდა.

თანამედროვე სახელმწიფოებში ყოველთვის ფიზიკურ ძალდატანებასთან ერთად ზნეობრივი დამორჩილებაც შეგვხვდება, და აქ ზნეობრივ გავლენას ფიზიკურ ძალაზე მეტი მნიშვნელობა აქვს. მართლაც, ყოველგან, სადაც უმცირესობა არის გაბატონებული სახელმწიფოში, ეს უმცირესობა ბატონობის შესარჩენად სხვ ს დახმარებით მოქმედობს და ხალხის უმეტესობა, მისგან დამონებული, თვითონ თავის ხელით, თავის წარმომადგენელთა ხელით ისხამს ბორკილს და თავისავე მონობას სდარაჯობს. ჯარის კაცები და პოლიციელები მშრომელ ელემენტებს ეკუთვნიან და ამ წრეებთან კავშირს შემდეგშიაც არ სწყვეტენ. ევროპის ყველა სახელმწიფოში, ინგლისს გარდა,—საყოველთაო სამხედრო ბეგარა არის შემოღებული და ამიტომ ჯარების კლასსიური შემადგენლობა სრულის სისწორით გამოხატავს მთელი ხალხის კლასსიურ შემადგენლობას.

გაბატონებულ წრეების სასარგებლოდ ხალხი თვითონვე იგრეხავს კისერს და ზედ უღელს ადებს.

რითი აიხსნება ეს სასწაული? ამის მიზეზი ჯერ ერთი სხვა და სხვა ცრუმორწმუნეებაა. ხალხს ათასი სხვა და სხვა შემცდარი აზრი, შეხედულება და ჩვეულება აქვს. ეკლესია, რომელიც საიქიოს ჯოჯოხეთს ან სამოთხეს უქადიდა მორწმუნეს, ნამდვილ პოლიციელობას ეწეოდა. სარწმუნოებრივ ნიადაგზე ხალხს გულში ფეხი მოიკიდა სხვა და სხვა გრძნობამ, რომელიც ამა ქვეყნისა ძლიერთათვის მეტად სასარგებლო გამოდგა. არა მართლმადიდებელ ფრანგებისადმი და მათ წინამძღოლ „ანტიქრისტ-ნაპოლეონისადმი“ სიძულვილი რუს გლეხობაში ისეთი ძლიერი იყო, რომ დროებით საკუთარი სოფლის გაჭირვება დავიწყებინა. ახლაც ხომ ისევე ამ სარწმუნოებრივ გრძნობით ცდილობენ რუს ხალხის დაბეჩავებას, უქადაგებენ, არწმუნებენ მას, ეითომც ახლანდელი განმათავისუფლებელი მოძრაობა „ურიების“ შექმნილი იყოს, ვითომც „ურიებს“ მთელ ქრისტიანე რუსეთის ხელში ჩაგდება სურდეთ.

გაბატონებული წრეები ხშირად სხვა გრძნობების საშუალებითაც ცდილობენ ბატონობის შერჩენას. ასე, რუსეთში მაგ. ხალხში ავრცელებდენ აზრს, ვითომც რუსეთის ძლიერება მტკიცედ იყოს დაკავშირებული თვითპყრობელობის ბატონობასთან. როდესაც ზოგიერთები შინაურ რეფორმებს ითხოვდენ, მმართველ წრეების წარმომადგენლები და ქომაგები ამაზე უპასუხებდენ, რომ რუსეთს შინაურ რეფორმებზე უფრო მეტად სჭირია შორეულ აღმოსავლეთის დაპყრობა, ახლობელ აღმოსავლეთში კი მომეტებული გავლენა. და იაპონიასთან ომში რუსეთი ასე საშინლად რომ არ დამარცხებულიყო, რუსეთის ახლანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობასაც სულ სხვა ხასიათი მიეცემოდა.

ამნაირ, ერთხელვე შეთვისებულ და შემცდარ აზრების გავლენა ხალხში იქ არის უფრო ძლიერი, სადაც პრაქტიკა, ცხოვრების სინამდვილე მათს უკარგისობას არ ამჟღავნებენ. სიტყვიერ და საგაზეთო აგიტაციას მხოლოდ იქ მოაქვს რამე თვალსაჩინო ნაყოფი, სადაც აგიტატორი ყველასათვის ცნობილ ფაქტებზე ამყარებს თავის აგიტაციას. გლეხები, მაგ., თვითონაც აშკარად გრძნობენ და ხედავენ, რომ მათ უმოწყალოდ ყვლეფავენ მოურავები და ამიტომ მოურავების საწინააღმდეგოდ გლეხების აგულიანება აგიტაციისთვის მეტად ადვილი საქმეა. თვით ბატონის, მემამულის წინააღმდეგ კი ხალხი ასე ადვილად არ ამხედრდება, რადგანაც მას თვალით ვერ ხედავს და ჰგონია, რომ მთელ უბედურების მიზეზი მოურავია, ბატონმა კი მოურავის ძალმომრეობა არ იცის. „ეი ბატონ ჩამოვა, მოურავს დაითხოვს და ყველაფერს რიგში ჩააყენებსო“,—ამბობენ ამის მიხედვით გლეხები. დიდი ხანი უნდა გასულიყო, სანამ გლეხობა შეიგნებდა, რომ მემამულეებიც მისი მოწინააღმდეგენი არიან. ქიმოსვლის გახშირება, სხვა სოფლებში და ქვეყნის სხვა კუთხეებში ისევ იმავე გაჭირვების გაცნობა ბოლოს თვალს უხელს კლეხობას და მას უმტკიცებს, რომ „ბატონი“, მემამულე ყველგან ერთნაირად იქცევა, ჰყვლეფს გლეხობას, გლეხობის შრომით საზრდოობს და ამნაირად გლეხთა კეთილდღეობის ხელის შემშლელი და მოწინააღმდეგეა. ამას მოჰყვა ორმოცდაათიან წლებში რუს გლეხობის ხშირ-ხშირი აჯანყება.

გლეხთა მოძრაობა ძლიერდებოდა. მაგრამ, ამ დროს მმართველ წრეებში იმ აზრს დაადგენ, რომ საჭიროა „ზევიდან რევოლუციის შექმნა, სანამ ხალხს თავისი რევოლუცია არ დაეწყო“. ამას მოჰყვა გლეხთა განთავისუფლების შესახები კანონი.

გაბატონებულ კლასსებს დიდ ძალას აძლევს კიდევ ის გარემობა, რომ მათ ყოველთვის აქვთ რამე მტკიცე ორგანიზაცია, მათ მოწინააღმდეგე ხალხს კი ეს ორგანიზაცია აკლია.

მართვა-გამგეობის რთულ მანქანაში მოსამსახურე ყოველი პირი, გუბერნატორით დაწყებული უბრალო პოლიციელამდის, შეეჩვია მორჩილებას და უფროსებისაგან ბრძანების მიღებას. ეს მორჩილება მისთვის სასარგებლოა და ძვალსა და რბილში გაუჯდა. ხალხში კი ყველა თავისკენ იწევს და ყველასი ერთ აზრზე დაყენება მეტად ძნელი და ხშირად შეუძლებელი საქმეა.

ამიტომ მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლა, იქაც კი, სადაც ამ ბრძოლას თანაუგრძნობს ხალხის დიდი უმეტესობა, მეტად სახიფათოა, რადგანაც მთავრობის მოხელეთა გაერთიანებულ ძალის წინააღმდეგ ადამიანმა ისევ ხალხის გაერთიანებული ძალები უნდა წამოაყენოს. ხალხის ცხოვრებაში ხან და ხან ისეთი მომენტი დგება, რომ ხალხი თავის თავად, ერთ სულ და ერთ ხორცად ქცეული, როგორც ერთი ადამიანი იწყებს ბრძოლას რამე უფლებების მოსაპოვებლად. ასე ხდება აჯანყების დროს. მაგრამ, აჯანყებულ ხალხს თავისი მტკიცე ორგანიზაცია თუ არ აქვს, მაშინ პირველსავე მოულოდნელ მარცხს უთუოდ მოჰყვება ხალხის დაქსასვა და აჯანყების შემქმნელ გატაცების მოსპობა.

მთავრობა თავის ორგანიზაციით არის ძლიერი და მის დასამხობად ხალხშიაც საჭიროა ასეთივევე მტკიცე ორგანიზაციის მოწყობა. საჭიროა ხალხში ავტორიტეტების შექმნა,— ფიზიკურ და ზნეობრივ ავტორიტეტების წამოყენება, ვინაიდან მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლო მთავრობის ორგანიზაციასთან ბრძოლა და მისი დამხობა.

II

რევოლუციაზე ამბობენ, იგი სახელმწიფო უფლების ძალით დაპატრონება არისო, მარქსისტები უმატებენ ამას, რომ ამ უფლებას უნდა დაეპატრონოს პოლიტიკური კლასსი, რომელიც წინეთ დაჩაგრულ-დამონებული იყო სახელმწიფოში გაბატონებულ უმცირესობისაგან. ასე, მაგ., საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ფეოდალებს ბატონობა მოესპო და იგი ბურჟუაზიას გადასცა. „პროლეტარიატის დიქტატურაც“ ზოგიერთს ისე აქვს წარმოდგენილი, ვითომც ბურჟუაზიის ადგილას შემდეგში პროლეტარიატი უნდა დასკუპდეს. ასე გამოდის, რომ თვით სახელმწიფო წესწყობილება, უფროს-უმცროსობა, ბატონობა და მორჩილება მაშინ, ამ დიქტატურის დროსაც, შეგვრჩება და სახელმწიფოს მხოლოდ ახალი „ბატონი“ გამოუჩნდება. მთავრობა ისევ იბატონებს, ხალხი ისევ მორჩილად იქნება მხოლოდ გამგეები გამოიცვლებიან. „პროლეტარიატის დიქტატურის“ იდეა, როგორც იგი სოციალისტ მეთაურებს აქვს წარმოდგენილი, „განათლებულ დესპოტიზმს“ წააგავს,— კარგ მმართველებს გადაეცით უფლება და თქვენი ბედნიერება აცალეთო“,—აი ეს დედა აზრი აქვს ამ ორივე მიმართულებას ერთმანეთში საერთო.

სახელმწიფო უფლების ხელში ჩაგდებით მომხდარი სახელმწიფო ცვლილება დასავლეთ ევროპის წარსულ ისტორიაში ხშირია. ასეთია ყველა „სასახლის რევოლუციები“, რომელთაც განზე გაჩერებული ხალხი შორიდან შესცქეროდა ხოლმე. და მართლაც, სანამ ხალხი უგულოდ იდგა და უგულოდვე ემორჩილებოდა იმას, ვინც ხელში ჩაიგდებდა სახელმწიფო უფლებას,—სახელმწიფოში რამე ცვლილების შემოსატანად ერთად ერთი გზა იყო,—შეთქმულება და უფლების ძალით ხელში ჩაგდება. თანამედროვე ბლანკიზმიც ამავე ტაქტიკის გამომხატველია, ბლანკისტი ყოველთვის შეთქმულებაზე ოცნებობს, არსებულ რეჟიმის შეიარაღებულ დამცველებთან შეტაკებაზე ფიქრობს, ძალით ან მოხერხებით აპირებს მათ დამარცხებას,— უნდა ხელში ჩაიგდოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის უფლება და ახალ კანონების გამოცემით ახალი წესწყობილება და ცხოვრების ახალი პირობები შემოიღოს სახელმწიფოში. ყოველი ნამდვილი ბლანკისტი—იგივე თვითპყრობელობის მოტრფიალეა. იგი გუნებაში „განათლებული“ თვითმპყრობელია და ამიტომ ყოველთვის დიქტატურისაკენ მიილტვის.

ნამდვილი რევოლუცია სულ სხვა გზას ადგია. რევოლუციის მიზანი „ხაზეინის“ გამოცვლა კი არა,—თვით ბატონობის ახალ წესების შექმნაა. ისეთი წყობილება უნდა დამყარდეს, რომ სახელმწიფო მართვა-გამგეობის რთული მანქანა განურჩევლად ყველასი ბრძანებას არ ასრულებდეს. ამ მანქანას გვერდში უნდა ამოუდგეს საზოგადოების აზრი და სურვილი მანქანა თავის თავად უნდა გაჩერდეს, როდესაც ვინმე მას ხალხის საწინაღმდეგოდ მოიხმარს.

ერთ ინგლისელს ჰკითხეს:

— რა მოხდებოდა, რომ სამინისტროს თქვენში პარლამენტის დაუკითხავად შემოეღო რამე გადასახადი?

— ამ გადასახადს არავინ არ გადიხდიდა.

— ძალა რომ მოეხმარა მთავრობას?

— მაშინ ყველა მინისტრს, ალბად, იმავე საღამოს ქუჩაში ჩამოახრჩობდა გაბრაზებული საზოგადოებაო.

აი რა ძალა აქვს ხალხის ერთსულოვნობას.

III

რევოლუციის ხელოვნურად გამოწვევა არ შეიძლება,— შეიძლება მხოლოდ დავაჩქაროთ ან გავაადვილოთ მისი დაწყება. ყოველივე აგიტაცია უნაყოფოა, თუ თვით ცხოვრება, ხალხის ისტორიული განვითარება, სოციალური და ეკონომიური პირობები ამ აგიტაციისათვის საჭირო ნიადაგს არ ამზადებენ. ყოველ პოლიტიკურ რევოლუციას თავისი დრო აქვს, ამ ჭეშმარიტებას დამტკიცებაც არ სჭირია, იგი თავის თავადაც ცხადია. რუსეთში, მაგ., იმათ, ვინც პირველად იკისრეს ხალხში გასვლა საპროპაგანდოდ, ხალხი სდევნიდა და დაჭერილებს მთავრობასთან გზავნიდა. ასე იყო საქმე ამ ოცდა ათი წლის წინეთ. ახლა კი მთელი სოფლის საზოგადოება დგება, რომ გაანთავისუფლოს დაჭერილი აგიტატორი, ამ აგიტატორებს სახელმწიფო სათათბიროს წევრებად ირჩევენ. რა არის ასეთ ცვლილების მიზეზი? თვით აგიტატორები და მათი მოძღვრება არ გამოცვლილა, გამოიცვალა მხოლოდ მათი სამოქმედო ნიადაგი, თვით ხალხი.

ცხოვრების სინამდვილემ ხალხს უნდა უჩვენოს რომ ყველა ის ცრურწმენა რომელზედაც ძველი რეჟიმი თავის ბატონობას აშენებს, ხელს უშლის ხალხის ძირითად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. აგიტაციის სიმართლეს უნდა ამტკიცებდეს ცხოვრების გამოცდილება. შორეულ აღმოსავლეთში რუსეთი რომ არ დამარცხებულიყო, ხალხი ახლაც იმ აზრის იქნებოდა, რომ რუსეთი მხოლოდ თავის თვითმპყრობელ წყობილების გამოა ძლიერი. ხალხი რომ არ დაღარიბებულიყო, მისი მიწა მის საკვებად საკმარისი რომ გამომდგარიყო, მთავრობას გლეხების საშველად რამე ზომები მაინც რომ მიეღო,—ვერავითარი სოფლის აგიტაცია რუსის გლეხობას ახლა ვერ გამოაფხიზლებდა და მთავრობის საწინაღმდეგოდ ვერ აამხედრებდა.

ვისაც სახელმწიფოში რამე ცვლილების შემოტანა სურს, ცხოვრების სინამდვილეს უნდა აკვირდებოდეს, რომ ყოველი ახალი მოვლენა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ყოველ კლასს თავისი შესაფერი მოქმედება სჭირია. გლეხი ყურს არ დაგიგდებთ, თუ მასთან ლაპარაკი პირდაპირ პოლიტიკაზე დაიწყეთ. მაგრამ, აბა უხსენეთ გლეხს მიწა,—სახე გადაეშლება, თვალები გაუბრწყინდება,—ამის შემდეგ მისთვის დანარჩენიც სასიამოვნოა.

რუსეთის სოციალდემოკრატიამ, როგორც ვიცით, თავისი აგიტაცია „ეკონომიზმით“ დაიწყო. ეს ტაქტიკა წინდაწინვე მოფიქრებული და სწორი იყო. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა მუშებში გულის მოგება. პარტიას ხალხისთვის უნდა ეჩვენებინა,—საქმით და არა სიტყვით, რომ მის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას წინ ელობება ძველი პოლიციური წესწყობილება. ამიტომ საჭირო იყო ხალხში ამ წყობილებისადმი ღრმა სიძულვილის ჩანერგვა. მხოლოდ ლექციებით და ლაპარაკით საქმე არ გაკეთდებოდა, ამას ინსტიქტიურად გრძნობდენ „ეკონომისტები“ და, მართლაც, მათ დროებით თითქო დაივიწყეს პოლიტიკა და ხალხი ეკონომიურ ბრძოლისკენ გაიტაცეს, და აი აქ საკუთარმა გამოცდილებამ და მთავრობის ეკონომიურ ბრძოლაში მუდამ კაპიტალისტების მხარეზე დადგომამ, მათრახებმა და პოლიციის ძალმომრეობამ,—ნათლად და ყველა ლექციებზე უკეთესად აუხილეს ხალხს თვალი და ერთმანეთში შეაკავშირეს. მუშა ხალხში თანდათან ფეხს იკიდებდა მთავრობის საწინააღმდეგო გრძნობა, ხალხი მთავრობისათვის „საეჭვო“ შეიქმნა და, აი, მხოლოდ ამის შემდეგ ასპარეზზე გამოვიდა პოლიტიკური სოციალიზმი, რომელმაც გარკვეული სახე მისცა მუშების სიძულვილს.

სოციალდემოკრატიამ მუშათა მოძრაობაში თავის ტაქტიკით დიადი სამსახური გაუწია ხალხის განთავისუფლებას. შემდეგში ამ პარტიას ისეთი მიუტევებელი შეცდომები რომ არ ჩაედინა, რომელიც ადამიანს პარტიის წინანდელ ღვაწლს თითქმის ავიწყებინებს, მაშინ ეს ტაქტიკა იქნებოდა ყველა სხვა პარტიებისთვის სამაგალითოდ. მან საქმით დაუმტკიცა მუშა ხალხს, რომ მისი უმთავრესი მტერი ძველი წყობილებაა და ამით მუშა ხალხის გული თავისუფლებისადმი ძლიერის გრძნობით აანთო. ჯერ მხოლოდ ეკონომიურ და შემდეგ თან და თან პოლიტიკურ გაფიცვებით მან მუშა ხალხის ორგანიზაცია შექმნა. აქ სახეში მაქვს არა საიდუმლო წრეები, არა ის ფარული ორგანიზაცია, რომელზედაც ამდენს ლაპარაკობდენ და რომელიც შემდეგ ასეთი სუსტი გამოდგა, არამედ საერთო მოქმედების შეჩვევა, რომელიც ასე მალე შეითვისა მუშა ხალხმა და რომელმაც დაქსაქსული ბრბო მტკიცე სარევოლუციო ჯარად აქცია.

სოციალისტების ასეთი ტაქტიკა სამაგალითო უნდა შეიქნეს ყველა იმ პარტიისათვის, რომელსაც სახელმწიფოში პოლიტიკურ რევოლუციის შექმნა სურს. მაგრამ ხალხის ყველა ნაწილი ისეთსავე პირობებში არ არის ჩაყენებული, რა პირობებშიაც მუშა ხალხია, და ამიტომ მათში განსაკუთრებული ტაქტიკა არის საჭირო. ტაქტიკის მხოლოდ მთავარი პრინციპები უცვლელი რჩება, პარტიის პრაქტიკული მოქმედება კი მუდამ იცვლება და ყოველ შემთხვევისათვის სხვა არის.

მუშა ხალხი შეჯგუფულად ცხოვრობს და მუშაობს. ამიტომ მუშების ერთმანეთში შეთანხმება ადვილია და მათი პროფესიონალური ბრძოლა ყოველთვის მრავალ მუშას იტაცებს. საკმარისია ბრძოლის პირველი თესლი ჩააგდოს ადამიანმა, ეს თესლი შემდეგ თავის თავად იზრდება და ნაყოფს იძლევა. ამიტომაც ისეთი დაწესებულება, როგორიც მუშათა დეპუტატების საბჭოებია, მუშათა კლასის სათავეში მაშინვე დადგა და მთელ კლასს ძლიერ მეთაურობას უწევდა. მაგრამ ამ საბჭოებს სხვა კლასებში, ხალხის სხვა ნაწილებში არავითარი ავტორიტეტი არ ჰქონდა და ეს გარემოება იმ თავითვე ხსენებულ საბჭოების მოქმედებას სრულ დამარცხებას უქადდა.

გლეხებში საგიტაციოდ და სამოქმედოდ სულ სხვა საშუალებაა საჭირო. აქაც აგიტაცია ეკონომიზმით უნდა დაწყებულიყო,—საამისოდ ნიადაგი მზად იყო, აქაც პარტიას უნდა საქმით ეჩვენებინა ხალხისთვის, რომ მისი უმთავრესი მტერი ძველი წყობილებაა. აქაც ხალხის ხასიათის გარდაქმნა იყო საჭირო, ხალხის საერთო მოქმედებისთვის შეჩვევა, გაერთიანების სურვილის შექმნა. მაგრამ გლეხობა აქა იქ გაფანტულად ცხოვრობს, გლეხებში მიმოსვლა, ერთმანეთთან შეხვედრა და ამის გამო შეთანხმება და საერთო მოქმედება უფრო ძნელია და ამიტომ აქ ქალაქისებური ტაქტიკა არ გამოდგებოდა.

აგერ თითქმის ათი წელიწადია, გლეხობა რუსეთში ახალ პოლიტიკურ საქმიანობისთვის ოომ ემზადება. გაჭირვება მატულობს, მთავრობა კი უსირცხვილოდ უარჰყოფს იმას და გლეხების საშველად არავითარ ზომებს არ იღებს. ეკონომიურ ბრძოლისთვის გლეხებს საშინელის სისასტიკით სჯიან, რის გამოც ხალხში თან და თან მთავრობის საწინააღმდეგო გრძნობა ვრცელდება და სოციალისტ-რევოლუციონერების პროპაგანდა ამ გრძნობას გარკვეულ სახეს აძლევს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ მომავალ მოქმედებისთვის მხოლოდ ნიადაგის მომზადებაა. რუსეთის ყველა კუთხეში გაფანტული გლეხობა ვერ შეერთდება, ერთმანეთის ხმა თუ არ გაიგონა. გლეხების გასაერთიანებლად საჭირო იყო საკუთარი პრესსა, საჭირო იყო აგრეთვე რამე გამაერთიანებელი დაწესებულება.

არ ვიცი, რა გზას დაადგებოდა რუსეთის რევოლუცია, მთავრობას სათათბიროს მოწვევა რომ არ გადაეწყვიტა, ვიცი მხოლოდ, რომ უამსათათბიროდ გლეხობა ახლა ვერ შეერთდებოდა.

გლეხობა გაფაციცებით თვალყურს ადევნებს სათათბიროს და მისგან შველას მოელის,—ამიტომ ვერავინ ვერ გაბედავს ამ სათათბიროს დათხოვნას,—მისი დათხოვნა მთელ გლეხობას აამხედრებს დაააჯანყებს.

IV

ყოველ პოლიტიკურ რეფორმებს შინაგანი თანდათანობა ეტყობა, ბრძოლის პირობები და სახე იცვლება. სისულელეა ყველა შემთხვევისათვის წინდაწინვე ერთ უცვლელ ტაქტიკის შემუშავება და შემდეგ მის იმედით ცხოვრების საჭიროებათა უყურადღებოდ დაგდება. დღეს სასარგებლო შეიქმნა ბარიკადები? მაშ ხვალაც ისევ ბარიკადები ავაგოთ? დღეს გამოგვადგა გაფიცვა? მაშ ერთი თვის შემდეგაც გაფიცვა დავიწყოთ? ცხოვრების პირობები კი იცვლება, ბარიკადები გამოუსადეგარი შეიქმნა, რადგანაც მთავრობამ ძალლონე მოიკრიბა და შეუბრალებლად მოქმედება დაიწყო, გაფიცვა, უწინ ყველასათვის სანატრელი, ახლა გულმოსულობას იწვევს,—იგივე საშუალება, მხოლოდ მისი შედეგი სხვა არის.

არასოდეს შეცდომაში არ ჩავარდება ის საზოგადო მოღვაწე, რომელსაც მუდამ ეხსოვნება, რომ მისი უმთავრესი მიზანი, ცრურწმენის მოსპობა და ხალხში ორგანიზაციის შექმნა. დრო როცა მოვა, ხალხი თქვენ ბრძანებას და განცხადებას აღარ მოიცდის, და თვითონ დაიწყებს საქმეს. გაფიცვა იქნება საჭირო და გაიფიცება, გაიფიცება იმნაირ ერთობით, რომელიც შეუძლებელია იქ, სადას გაფიცვას იწვევს რაღაც საიდუმლო ორგანიზაცია და არა ცხოვრების საჭიროება საჭირო შეიქნება ბარიკადები,—და უთქვენოდაც აიმართებიან ყველგან. ოღონდ ხალხი მართლა შეგნებული იყოს, თავის თავს ერთ შეკავშირებულ ერთეულად გრძნობდეს და არ იქ-საქსებოდეს!

მთავრობის ყოველი დათმობა შეკავშირებულ საზოგადოებრივ ჯგუფთა მოქმედების შედეგი არის.

სახელმწიფო წესწყობილების შეცვლა წვრილმანებით იწყება, რუსეთის რევოლუცია, მაგ., ორ წვრილმან დათმობით დაიწყო: გაადვილდა პრესსის მდგომარეობა და ხალხს დროებით „ბანკეტების თავისუფლება“ მიეცა. შორეულ აღმოსავლეთში რუსების უმაგალითო დამარცხებამ აიძულა მთავრობა ხალხისთვის ეს ცოტაოდენი თავისუფლება დაე მოთ, უფრო, რომ თვით მმართველ წრეებშიაც ამ დამარცხებამ რეფორმების სურვილი აღძრა. პლევეს განზე ყურება დაუწყეს, ყოველი ახალი დამარცხება შორეულ აღმოსავლეთში ძირს უთხრიდა ამ მინისტრის გავლენას.

ასე ყოველთვის ხდება. ახალ წყობილებისთვის ბრძოლას რომელიმე ერთი კლასი იწყებს, რომელიც რიცხვიდაც არც ისე მრავალი არის, და ეს კლასი პირველად ყურადღებას აქცევს წვრილმანებს, წვრილმან უფლებებს. მთავრობის წინააღმდეგობა ამ წვრილმანებში სუსტია და ხალხის მხრივ უბრალო ზნეობრივი ძალდატანებაც საკმარისია ხოლმე, რომ მთავრობამ ხალხს ცოტაოდენი რამ დაუთმოს. ამ დათმობის საშუალებით ხალხის ორგანიზაციის საქმე თან და თან ძლიერდება და საზოგადოების ახალ კლასებსაც ეკიდება.

რუსეთში ცოტა ხნით „გაზაფხული“ დადგა. ამ გაზაფხულმა დიდ ხანს არ გასტანა, მაგრამ მაინც საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ საზოგადოების სხვა და სხვა ნაწილს ერთმანეთისთვის ხმა გაეცა და რომ პირველად წარმოეთქვათ სიტყვა „კონსტიტუცია“

ინტელიგენციას თავის თავად არაფრის მიღწევა არ შეეძლო, მთავრობა მას გასრესავდა, რომ ხალხის სხვა ნაწილებსაც მისთვის მხარი არ დაეჭირა და რომ მუშებსაც თავის მხრივ არ დაეწყოთ ბრძოლა ძველ წყობილებასთან. რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ მუშათა რაზმი აღზარდა. მან შეაჩვია მუშები საერთოდ მოქმედებას და, როდესაც ჰაერში ბრძოლის მოწოდება გაისმა, პროლეტარიატი ინტელიგენციასთან ხელიხელ ჩაკიდებული გამოვიდა ქუჩაზე. იმ დროს პარტიის ბრძანებით არ გამოსულან მუშები,—მუშები თავისით, თავის ნებით გამოვიდენ, სათხოვნელად, და არა ბრძოლისთვის. მთავრობამ ეს მუშები დახოცა, მაგრამ დემონსტრაციის შთაბეჭდილება ისეთი ძლიერი იყო, რომ მისი გავლენით გამოვიდა ცნობილი რესკრიპტი „არჩეულ წარმომადგენელთა“ შესახებ.

ხალხის აღზრდა-განვითარება ამასობაში თავის გზას ადგა. შეუძლებელია დაახლოვებითაც აღნიშნოს ადამიანმა, თუ რა დიადი აღმზდელი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებაში გამართულ კამათს და დაუსრულებელ ლაპარაკს წარმომადგენლობითის მართვა-გამგეობის შესახებ, ამ კამათის გავლენით რეაქციონერი ვაჭრები და ნოქრებიც კონსტიტუციის მომხრეებად შეიქმნენ.

ბულიგინის პროექტმა ხალხს თანაგრძნობა ვერ მოიპოვა, გლეხობა კიდევ გაჩუმებული იყო, მხოლოდ აქა-იქ უკვე მოსჩანდა იმის ნიშნები. რომ ჯალე ეს გლეხობაც მოითხოვდა საყოველთაო კენჭის ყრას და სხვა და სხვა თავისუფლებას.

ხალხის უკმაყოფილება იზრდებოდა და ბოლოს დასრულდა ოქტომბრის გაფიცვით, რომელიც ყველასთვის თანასწორად სანატრელი შეიქმნა. ამ გაფიცვაში მოქმედება ქარხნის მუშა ხალხს არ დაუწყია. გაიფიცენ რკინის გზების მოსამსახურენი, ისინი, ვისი ცხოვრების პირობები მეტად განსხვავება ქარხნის მუშების ცხოვრების. კონდუქტორი, მემანქანე ან მისი თანაშემწე—ცხოვრების პირობებით და სამსახურით—უფრო ნოქარს წაგავს, ვიდრე უბრალო მუშებს, რომელნიც ასობით და ათასობით ერთად მუშაობენ. გაზეთები, ლექციები, კრებები,—აი ამან შეაკავშირა ესენი...

რა თანაგრძნობით ეკიდებოდა ხალხი ოქტომბრის გაფიცვას, ამისი საუკეთესო მაჩვენებელი, სხვათა შორის, ის არის, რომ მას მოსკოვის და პეტერბურგის მომრიკებელი მსაჯულებიც მიემხრენ.

დემოკრატიულმა პარტიებმა სოფლად დაიწყეს აგიტაცია და სათათბიროს მოწვევას ითხოვდენ. ამ ტაქტიკის შედეგი ახლა ყველასთვის თვალსაჩინოა, სათათბიროს მნიშვნელობა ხალხის განთავისუფლების საქმეში ამ ჟამად ყველასათვის ცხადია.

მემარცხენენი იკითხავენ უთუოდ, რაღას იზავდით, მთავრობა რომ გაჯიუტებულიყო და ხალხს სათათბირო ვეღარ მიეღო? ვუპასუხებ: ისევ განვაგრძობდით აგიტაციას და ისევ მეტ შეგნებას შევიტანდით ხალხის სხვა და სხვა ნაწილში. ასე იქცეოდენ უწინ სოციალდემოკრატები, ასე იქცეოდა „განთავისუფლების კავშირიც“. ერთის მხრივ სოციალისტები ამზადებდენ მუშა ხალხს და „განთავისუფლების კავშირი“ კი მეორეს მხრივ ინტელიგენციას აერთებდა, ზნეობრივ ძალას ატანდა მთავრობას და ხალხისთვის სხვა და სხვა უფლებას ართმევდა. მთავრობას ნამეტანი გაჯიუტებაც არ შეეძლო, რადგანაც მაშინ რუსეთს ოსმალეთის ბედი ელოდა და პროტესტის გრძნობა თვით მთავრობის მოხელეებშიაც ჯეხს მოიკიდებდა. მინისტრები, აფიცრები და ჩინოვნიკებიც ხალხის საერთო პროტესტს განზე ვერ გაუდგებოდენ.

მთავრობას ოქტომბერშიაც ხალხისთვის არაფრის დათმობა შეეძლო. გაფიცვა თავდებოდა, ხალხს ძალა გამოლეული ჰქონდა და კიდევ ორი ან სამი დღის შემდეგ ყველაფერი უწინდელივით თავის თავად კალაპოტში ჩადგებოდა ამიტომ ამ მხრივ მთავრობის დამარცხებაზე ლაპარაკი მაშინაც არც შეიძლებოდა. მთავრობა მაშინ მხოლოდ ზნეობრივად დამარცხდა.

რამდენად ძლიერი იყო კიდევ მთავრობა, ეს შემდეგ გამოჩნდა. პროლეტარიატის მეთაურებმა ივიწყეს, რომ სოფლად ორგანიზაცია ჯერ კიდევ სუსტი იყო და მოინდომეს საკუთარ ძალღონით ლელოს გატანა და ამიტომ, გლეხთა დახმარებას მოკლებული, ხალხისაგან მოწყვეტილი პროლეტარიატი დამარცხებამდის მიიყვანეს.

რა გზას უნდა ღაადგეს პოლიტიკური პარტია? აჯანყებას? მაგრამ აჯანყება მხოლოდ იქ არის შესაძლო, სადაც სოფლელები რაღაც ბრბოს აღარ წარმოადგენენ და ერთმანეთში რამე ორგანიზაციით შეკავშირებული არიან. გაფიც-

ვები? ეს საშუალებაც გამოვცადეთ. პროლეტარიატი, მოწყვეტილი ხალხს, რომელშიაც იგი მხოლოდ 7—8% თუ შეადგენდა, თავის თავად ვერაფერს ვერ გაარიგებს. დემონსტრაციები? მაგრამ ეს მხოლოდ აგიტაციის ერთ-ერთი სახეა და ისეც არა ყოველთვის გამოსადეგი.

მთავრობასთან საბრძოლველად მრავალი საშუალება არსებობს,—აჯანყებით დაწყებული უბრალო საგაზეთო ახალ ამბავამდის, და ამ საშუალებათა სიავკარგე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პირობებში მოქმედობს ადამიანი. ახლა კი ყველასთვის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს,—ხალხში სხვა და სხვა ცრუ შეხედულების მოსპობა, ხალხში ორგანიზაციის შექმნა. იკისრეთ ეს შრ-მა, აასრულეთ იგი, და ხალხი, შეგნებულ ეროვნებად ქცეული, თავის თავად იმ გზას დააგებს, რომელსაც გაერთიანებული გრძნობა და აზროვება უჩვენებს.

სგ. ი კულტ. № 5

მოხუცის ალსარება

დღეიდან ჩემი სტუმარი
სულთამხუთავი იქნება.
უნდა ვუკმიო საკმელი,
სანთელიც მისთვის იქნება.

—

მომიახლოვდა სიბერე...
ვაი, რა მძიმე სენია...
სიბნელით მინაზღვაურებს,
აქ რაც ნათელი მფენია.

—

მივალ, სად მივალ, არ ვიცი!..
საიდან მოვალ,—არც ისა!..
მიწისაცა ვარ, ცისაცა;
არც მიწისა ვარ, არც ცისა!..

—

ამიყოლია, ავყევი
ამ სოფლის „ელა-მელასა“,
თავი ამირან მეგონა
ულონო ჭიანჭველასა!

—

დღეს მივხვდი,—მაგრამ რაღა დროს?—
სოფელი მატყუარია!.
იმისმა ფერადოვნებამ
ჩემი გონება არია.

—

ყველა ტყუილი ყოფილა,
რაც კი კაცს მოუგონია.
ამ სოფელს მხოლოდ უტყუვრად
თვისი კანონი ჰქონია:

—

ჯერ აღმა-აღმა ამსვლელი,
უნდა დაუყვე დაღმართსა
და უკუღმართი სიბერე
სცვლის სიჭაბუკეს წაღმართსა!.

—

რომ სიყმაწვილემ იცოდეს,
სიბერე თუ რა ძნელია,
არ გაუშვებდა, რასაც კი
მიუწვდებოდა ხელია! —

—

ახლა მეც მივხვდი, მაგრამ რა?!
ვინ დამიბრუნებს წარსულსა?
დამაუძლურა სიბერემ,
არც ხორცს ვარგივარ არც სულსა!.

—

და ვუცდი სულთა-მხუთავსა
შიშით და გულის ძგერითა
და ჩემგან გაუგებარსა
სოფელს ვათავებ მღერითა!

ᲡᲯᲯᲘ

ᲘᲓᲔᲐᲚᲔᲑᲘ

(შილერისა)

მაშ, მეთხოვები, მიდიხარ ჩემგან,
ჟამი კაერისა დაგვიდგა განა?
ტანჯვა-სიამე, ტკბილი ოცნება
და იმედები მიგვეგება თანა!...
ფრთა შეუკვეცდად მიფრინავს, მიქრის
დრო სიყმაწვილის, შვენიერების;
და სუკუნეთ ოკეანეში
ნოქავს კაფლიდ ჟამსა ბედნიერების.

—

აწ კაქრა, კაქრა დაუბრუნებლად
ნეტარ დღეობის ტკბილი ოცნება,
რომ თვით იმედის შუქ-ელვარებამ
ვერ შესძლოს სულის კასხივოსნება.
კაქრა თვით რწმენა ნათელ-სხეტაკი,
დობდდა სული ამით ცხოველი
და ცხოვრებაში რაიც შვენოდა,
მანგე მოშტაცა ესე ოფელი!..

—

ვით ხიგმალიან თავის ხელმქნილის
ტრფიალებითა კარემოცული
ტეტხლებრ ადგზნებულ სურვილებითა
თვით ტევ მარმარს ჩაუდგა სული,
ჭაბუკის ტეტხლით ადტეინებულმა
ვინავთსაუდლე ბუნება მეტ
და ჩემი გულის კაშოძახილზე
მეის ამეტუგელდა ქვეანა, ზეცა!..

—

მან ჩემი ბედი კაინაწილა,
წმინდა სურვილი და ჩემი რწმენა,
კაეტნო ჩემი გულის ხასუხებს
და სამეტუგელოდ აიდგა ენა;
მაშინ მეის ადსდგა ოფელი ქმნილი,
რადაც ზე-მადლით ის კაიმსჭვალა
და ნაკადულის თვით წენარ ხხრიალში
კამოგიცანი სიცოცხლის ძალა...

—

ამ დროს ვიკრძენი თვით სულიერი
ადფრთოვანება და კანახლება
და მწადდა სქმაი, სიტუეთ და აზრით
მთელი მსოფლიოს კაშოცოცხლება.

ᲘᲓᲔᲐᲚᲔᲑᲘ

(შილერისა)

მაშ, მეთხოვები, მიდიხარ ჩემგან,
ჟამი კაერისა დაგვიდგა განა?
ტანჯვა-სიამე, ტკბილი ოცნება
და იმედები მიგვეგება თანა!...
ფრთა შეუკვეცდად მიფრინავს, მიქრის
დრო სიყმაწვილის, შვენიერების;
და სუკუნეთ ოკეანეში
ნოქავს კაფლიდ ჟამსა ბედნიერების.

—

აწ კაქრა, კაქრა დაუბრუნებლად
ნეტარ დღეობის ტკბილი ოცნება,
რომ თვით იმედის შუქ-ელვარებამ
ვერ შესძლოს სულის კასხივოსნება.
კაქრა თვით რწმენა ნათელ-სხეტაკი,
დობდდა სული ამით ცხოველი
და ცხოვრებაში რაიც შვენოდა,
მანგე მოშტაცა ესე ოფელი!..

—

ვით ხიგმალიან თავის ხელმქნილის
ტრფიალებითა კარემოცული
ტეტხლებრ ადგზნებულ სურვილებითა
თვით ტევ მარმარს ჩაუდგა სული,
ჭაბუკის ტეტხლით ადტეინებულმა
ვინავთსაუდლე ბუნება მეტ
და ჩემი გულის კაშოძახილზე
მეის ამეტუგელდა ქვეანა, ზეცა!..

—

მან ჩემი ბედი კაინაწილა,
წმინდა სურვილი და ჩემი რწმენა,
კაეტნო ჩემი გულის ხასუხებს
და სამეტუგელოდ აიდგა ენა;
მაშინ მეის ადსდგა ოფელი ქმნილი,
რადაც ზე-მადლით ის კაიმსჭვალა
და ნაკადულის თვით წენარ ხხრიალში
კამოგიცანი სიცოცხლის ძალა...

—

ამ დროს ვიკრძენი თვით სულიერი
ადფრთოვანება და კანახლება
და მწადდა სქმაი, სიტუეთ და აზრით
მთელი მსოფლიოს კაშოცოცხლება.

ვიშ ეს ქვეყანა იმ ჩანასახში
რა რიგ შვენებად მეხატებოდა!...
მაგრამ, როდესაც გაიზარდა ის,
კვლავ მწუხარებით გული დნებოდა!...

—

ავყევ ფრთა-შესხმულ ტკბილსა ოცნებას,
წვრილმან საზრუნავს გარიდე თავი
და წინ, წინისკენ მივისწრაფოდი,
ვით ტალღების წინ მებრძოლი ნავი.
უმაღლეს წერტილს ქმნილებისასა
გონება ჩემი რომა წვდებოდა,
აღარ ხედავდა სივრცე-სიგანეს
და მით უსაზღვროდ ეხეტებოდა.

—

ქვეყანა ნათლად მეხატოდა წინ,
არაფერს ცუდსა მასში არ ვჭვრეტდი
და, ბედნიერი, სხივთასანთ შორის,
ასე მეგონა ვავსი-თელ-სვეტდი!..
მე სიყვარული მძღვნობდა საჩუქრით,
გვირგვინს მიწნავდა ითთონ დიდება,
მშვიდად ჰყვავოდა ცხოვრება ჩვენი,
მზეებრ ბრწყინავდა ჭეშმარიტება!...

—

მაგრამ უეცრად გაქრა ყოველი,
გაქრა შვენება და სილამაზე,
შემომელანდენ თანამგზავრები
და ობლად დავრჩი ცხოვრების გზაზე!
მსუბუქ აჩრდილად გამომიქროლა
ბედნიერებამ და გაქრა ჩქარა!
კვლავ დრუბლიანი სევდა-ეჭვები
ჭეშმარიტებას გადაეფარა!..

—

ვხედავდი, ქვეყნად უგუნურება
დიდებას ხშირად როგორ იმკიდა,
და ჭაბუკობას თანვე გადაჰყვა
დრო სიყვარულის, წმინდათა-წმინდა!..
მოკვდა ყოველი! ჩაქრა, ჩანელდა!
ცხოვრების წაილს თვალს ვარიდებდი,
მხოლოდღა სხივის უკანასკნელის
გამონაშუქით ვიმედოვნებდი.

—

აწ ვინდა დარჩა, რომ მომცეს ხელი,
დანაშირები არ გამიწბილოს
და სიყვარულით აღსავსე გულით
კუბოს კარამდე მე მომაცილოს?
შენ, მეგობრობავ! შენა ხარ იგი
რაის ძებნაშიც დავლიე ძალი!
ჩვენის გულისა ურვა-წუხილის
უზენაესი შენ ხარ მკურნალი!...

—

და შენ, ლამბარო, შრომავ კეთილო,
შენ ინაწილებ იმის მძიმე ტვირთს
და უღლის შემქნელ მტკიცე ხელითა
შენ ქვეყნად სხვებსაც აძლევ მაგალითს!...
შენ გულმოდგინედ ჰკრებ იოტის თვლებს
საერთო მიზნის მისაღწევად
და საუკუნეთ წიაღისაკენ
ამით იწყრვის სიცოცხლის ვადა.

დ. თომაშვილი.

მიწის მფლობელობა ახალ ზელანდიაში

ისტორიაში ხშირად მოიპოვება ისეთი მაგათილი, როცა ესა თუ ის ველური და უკან ჩამორჩენილი ქვეყანა ანუ სახელმწიფო უცებ გამოიღვიძებს და რამდენიმე ათი წლის განმავლობაში ყოველ მხრით წინ უსწრობს სხვა დანარჩენ ქვეყნებს და ხშირად დემოკრატიის მახლობელ მიზნის მაგალითად ხდება. ასეთი ამბავი დაემართა ჩრდილოეთ ამერიკას, რომელმაც ბევრ რამეში უკან დასტოვა თავისი მასწავლებელი „ბებია“ ევროპა; ასეთივე ამბავი დაემართა ჩვენ თვალწინ იაპონიას, რომელიც 40 წლის წინად მხოლოდ მოგზაურებისა და ორიენტალისტების ყურადღებას იქცევდა და რომელმაც შარშანწინ მთელ ქვეყნიერებას განცვიფრებისაგან პირი დაალებინა. მაგრამ ამ მხრით ამერიკასაც და იაპონიასაც წინ გაუსწრეს კანადამ, ავსტრალიამ და უფრო კი ახალმა ზელანდიან, რომელთაც თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოთა შორის პირველობა ეკუთვნის და რომელნიც დემოკრატიისთვის თითით საჩვენებელ მაგალითად არიან გადაქცეული.

სულ ასიოდე წელიწადი ძლივს იქნება მას აქეთ, რაც ახალი ზელანდია მხოლოდ ველურებით იყო დასახლებული. ევროპიელებმა ამ ქვეყანას 80 წლის წინად მიაქციეს ყურადღება და, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველად მისიონერები ესტუმრენ ველურებს ქრისტიანობის გასავრცელებლად. „ქრისტიანობას“ მიჰყვა მისი მთავარი ძალა,—ვაჭრებისა და მრეწველების არმია, რომელმაც მალე მოიკიდა იქ ფეხი და მიყრუებულ ქვეყანას მოკლე ხანში სიცოცხლის ნიშანწყალი მისცა. ევროპიელებმა განათლებასთან ერთად თან მიიტანეს აღებ-მიცემობა, ექსპლოატაცია და რამდენიმე წლის განმავლობაში ზელანდიის ნახევარი ხელში ჩაიგდეს. ჩალის ფასად ნაყიდი მიწა დღითი დღე ძვირდებოდა, რადგან მიწის შეძენის მსურველთა რიცხვი დიდის სისწრაფით მრავლდებოდა. ინგლისელებმა მალე გაიგეს მოგების სუნი და ზელანდიას მიაწყდენ. მათ მიეშველა მთავრობა, რომელიც, მისდა სასახელოდ, უფრო „სამართლიანად“ მოექცა იქაურ ველურებს, ვიდრე კოლონისტები ექცეოდენ. დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ ზელანდიელებმა აღიარეს ინგლისის ქვეშევრდომობა და მიიღეს ყველა ის უფლებები, რომელნიც ინგლისელებს ჰქონდათ. 1837 წელს ინგლისელთა სააქციონერო ამხანაგობამ ერთ მილიონ მანეთის თანხით სამითვის განმავლობაში 7 მილიონი დღიური მიწა იყიდა ზელანდიაში. ინგლისის მთავრობამ გამოაცხადა, რომ მთელი მიწა ეკუთვნის მხოლოდ ზელანდიის მკვიდრ მცხოვრებლებსა და მათ ბელადებს, ამიტომ მისი ყიდვაც მხოლოდ მათი თანხმობით უნდა მოხდესო. ამ კანონით მთავრობამ ფრთა შეაკვეცა მადა გაღვიძებულ მევახშეებს და მოსპო ველურთა სასტიკი ექსპლოატაცია და მიწების ტაცობა: წინად ნაყიდ მიწის საბუთები ხელმეორედ გადასინჯეს და უმეტესი ნაწილი უკანვე დაუბრუნეს ზელანდიელებს, ხოლო იმ ამხანაგობას, რომელმაც 7 მილიონი დღიური იყიდა, მხოლოდ 90,000 დღიური შერჩა, ე. ი. 75 ჯერ ნაკლები.

მიწა ბევრი იყო, მუშა ხელი კი—ნაკლები. ამიტომ მთავარი ყურადღება მიაქციეს უფრო სასოფლო მეურნეობას, ვიდრე მრეწველობას. ზელანდიაში განსაკუთრებით ფეხი მოი-

კიდა საქონლის მოვლა მოშენებამ. ეხლაც განთქმულია მთელ ქვეყანაზე ავსტრალიის მატყლი, რომელსაც დიდი გასაღები და მშვენიერი ფასი აქვს ინგლისში და სხვაგანაც. ᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ შეჩვეულმა ინგლისელებმა მალე ავტონომიაც მოითხოვეს. ინგლისის მთავრობას ეს მოთხოვნა, რასაკვირველია, არ ეუცხოვა და 1853 წელს ხმის ამოუღებლად მიანიჭა ფართო ავტონომია, რომლითაც თანასწორად სარგებლობენ გადმოსახლებული ევროპიელნიც და მკვიდრი ზელანდიელებიც.

ამ ჟამად ავსტრალიას განაგებს ავტონომიური წარმომადგენელთა პალატა, რომელიც არჩეულია საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით, განურჩევლად სარწმუნოებისა, ეროვნებისა და სქესისა. წინად, როცა ავსტრალიის შინაური, გარეშე და აუგილობრივი საქმეები წყდებოდა შორეულ ცენტრში, ინგლისში, რომელიც თავის მოხელეებით მართავდა რამდენიმე ათას ვერსით დაშორებულ ქვეყანას, ავსტრალიის ცხოვრების განკითარება და დემოკრატიზაცია ნელის ნაბიჯით მიდიოდა წინ. ხოლო მას შემდეგ, რაც ავსტრალიის შინაური საქმეები თვითონ ავსტრალიელების ხელში გადავიდა და ხალხმა ფართო ავტონომია მიიღო, ადგილობრივ ცხოვრების მაჯის ცემამაც იმატა და დემოკრატიულმა პრინციპებმაც ასე ადვილად და ისე ფართოდ გაიმარჯვეს, რომ მთელი კაცობრიობა კანცვიფრდა და გაოცდა. საჭირო არ არის – და უადგილობის გამო შეუძლებელიცაა—დაწვრილებით აწერა ამ დემოკრატიულ პრინციპების გამარჯვების ისტორიისა, მაგრამ საჭიროა ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ, რომ ავსტრალია ერთი უმდიდრეს კუთხეთაგანია მთელ დედამიწის ზურგზე, რომ სახალხო განათლების მხრით ავტონომიური ზელანდია არც ერთ სახელმწიფოს არ დაუვარდება, რომ მისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი სამაგალითოდ არის მოწყობილი და ყოველნაირი თავისუფლება იმდენად ფართოა, რომ ამ მხრით მას თავისუფლების კლასიკური ინგლისიც ვერ შეედრება. ახლა ზელანდიას კონკურენციას უწევენ მხოლოდ ავტონომიური კანადა, ავტონომიური ავსტრალია, ფედერატიული ამერიკა და ფედერატიული შვეიცარია. ჩვენ მოკლედ განვიხილავთ მხოლოდ საადგილ-მამულო საკითხს, რომელიც ახალ ზელანდიაში განსაკუთრებულ პირობებშია.

ზელანდიაში ძალიან განვითარდა საქონლის მოვლა-მოშენება, რომელსაც თან ახლავს ერთი აუცილებელი მოვლენა: მსხვილი მიწისმფლობელობა, რომელიც საძოვარ ადგილს აძლევს საქონლის პატრონს. ზელანდიის მთავრობამ ნათლად დაინახა მიწის ცენტრალიზაციის მავნებლობა ხალხისათვის და გადასწყვიტა, ასე თუ ისე შეეჩერებინა ასეთი ტენდენცია, რომელიც ბოლოს იმით უნდა გათავებულიყო, რომ მთელი ახალი ზელანდია რამდენიმე კაცს უნდა ჩავარდნოდა ხელში. ასეთ მოვლენის თავითან ასაცილებლად ადგილობრივმა პარლამენტმა გამოსცა ისეთი კანონი, რომლის ძალით ყველა მიწის პატრონი მიწაზე გადასახადს იხდიდა, მაგრამ იმ განსხვავებით კი, რომ მსხვილი მემამულე იმდენად უფრო მეტ გადასახადს იხდიდა თითო დღიურზე, რამდენადაც უფრო მეტი ადგილი ჰქონდა. თუ 10 დღიურზე პატრონი თითო დღიურზე 1 მ. ან 2 მანეთს იხდიდა, 100 დღიურის პატრონი ერთ დღიურზე 3 და 5 მან. იხდიდა, ხოლო 1000 და 10,000 დღიურის პატრონს ერთ ხუთად და ათად მეტი ხვდებოდა. ამის გამო დიდ მამულის შეძენა ხელ-აყრელი არ იყო, რადგან გადასახადი შემოსავალს სჭარბობდა, მსხვილ მემამულეებს ძალაუნებურად უნდა გაეყიდათ ადგილი და ისინიც სწორედ ასე მოიქცენ. ასეთ მიწებს მთავრობა ყიდულობდა და წვრილ მემამულეებს ურიგებდა. მაგრამ ზოგი მემამულე გაჯიუტდა და ადგილის გაყიდვას არ ფიქრობდა. მთავრობამ საამისო ხრიკიც მალე მოსძებნა. 1894 და 1896 წლებში გამოვიდა ახალი კანონები, რომლის ძალით მსხვილ მემამულეს ნება არ ჰქონდა მამულის გაყიდვაზე უარი ეთქვა. ამ კანონებმა გასჭრეს: ოთხიოდე წლის განმავლობაში მთავრობამ 16 მილიონი მანეთი დახარჯა, 125000 დღიური მიწა იყიდა და ხალხს დაურიგა. მაგრამ მემამულეებმა აქაც იპოვეს გასაძრომი ხვრელი და მთავრობას წინააღმდეგობა გაუწიეს. მაშინ მთავრობამ მესამე კანონი გამოსცა, რომლის ძალით არავის არ შეეძლო ეყიდნა 240 დღიურზე მეტი პირველ ხარისხოვანი მამული და 750 დღიურზე მეტი ნაკლებ ხარისხოვანი მამული. მაგრამ თუ მყიდველს უკვე ჰქონდა მამული, მას შეეძლო მხოლოდ იმდენი ეყიდა, რომ საერთოდ 990 დღიურზე მეტი არ ჰქონოდა (240 დღიური პირველ ხარისხოვანი და 750 დღ. მეორე ხარისხოვანი). ამ კანონმა შესაფერი გავლენა იქონია: მსხვილი მიწის მფლობელობა თანდათან დაეცა და, თუ დღემდის სულ არ მოსპობილა, ეს იმას უნდა მივაწეროთ, რომ ზელანდიაში ხალხი მიწას არ საჭიროებს. მაგრამ როცა ხალხი იმდენად გამრავლდება, რომ ახალი მიწა საჭირო იქნება, მაშინ მთავრობა ზემოხსენებულ კანონების ძალით ისევ შეუდგება მიწების ყიდვას და დარიგებას.

ნაყიდ მიწებს მთავრობა პატარ-პატარა ნაკრებად ჰყოფს და უმიწო ხალხს ურიგებს. მაგრამ ამ მიწის შესამუშავებლად და დასაბინავებლად ახალ მოსახლეს ფული სჭირია. მთავრობა ამაშიაც დახმარებას უწევს მას და საქონლისა, საჭირო მასალის და სამეურნეო იარაღს შესაძენად სესხს აძლევს. მსურველს შეუძლიან მთავრობისგან მიწა იჯარითაც აიღოს და შემდეგ, თუ მოისურვებს, თანდათან გამოისყიდოს. შეღავათი მოიჯარადრესაც ეძლევა: მასაც აძლევენ სესხს და დახმარებას უწევენ იარაღისა და საქონლის შეძენაში. საიჯარო ფასი მეტად მცირეა. 1899 წელს მთავრობამ გაჰყიდა 6000 დღიურამდე და იჯარით გასცა 85,000 დღიური.

უკანასკნელ დროს ზელანდიელები გაიფლინთენ ერთი აზრით ერთი იდეით: მიწა ეკუთვნის მთელ ხალხს, მთელ სახელმწიფოს და არა კერძო პირთ. მთავრობაც ამ იდეის განხორციელებას ცდილობს და მსურველი მიწას სამუდამოდ კი არ მიჰყიდის, არამედ უვადო იჯარით აძლევს. ამით მიწის მომუშავეს იურიდიულად უფლება არა აქვს სამუდამოდ დაისაკუთროს ის ნაკერი, რომელიც მას უჭირავს, და მთავრობას ყოველთვის შეუძლიან ასეთი მიწები სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადოს. 1899 წელს მთავრობამ იჯარით გასცა 85000 დღიური. აქედან 40000 მუდმივ იჯარათ არის გაცემული. ასეთ მიწების გაყიდვა არავის არ შეუძლიან, რადგან ის სახელმწიფოს ეკუთვნის და არა კერძო პირთ. ეხლა გაიხსენეთ ის კანონიც, რომლის ძალით მთავრობას შეუძლიან ძალდატანებით ყველა საჭირო მიწები შეისყიდოს კერძო მემამულეებისგან და დარწმუნდებით, რომ ახალ ზელანდიაში ადრე თუ გვიან მოისპობა კერძო საკუთრება მიწაზე და მთელი ადგილ-მამული გადაეცემა სახელმწიფოს.

უკანასკნელ ხანებში ზელანდიასა და ავსტრილიაშიაც სწრაფად ვრცელდება სათემო მიწის შემუშავება. ამას მთავრობაც ხელს უწყობს და თემებს უფრო შეღავათიან პირობებით აძლევს იჯირით მიწას, ვიდრე კერძო პირთ. ზელანდიის თემსა და რუსეთის თემს შორის დიდი განსხვავებაა: იქ ყველაფერი დამყარებულია პიროვნების თავისუფლებაზე, რუსეთში კი თემი ზოგთათვის იგივე საპყრობილეა. მართალია, ზელანდიაში ასეთი თემი ჯერ-ჯერობით ბევრი არ არის, მაგრამ თვითონ იდეა თემისა სწრაფად ვრცელდება და შესაფერ ნიადაგსაც პოულობს: არც ხალხია მის წინაღმდეგი და მთავრობა ხომ პირდაპირ ხელსაც უწყობს. ასეთ თემების რიცხვი თანდათან იზრდება და ცხადია, რომ ადრე თუ გვიან მთელი ახალი ზელანდია და მასთან ავსტრალიაც მოიფინება ისეთ თემებით, სადაც ყველაფერი საერთოა: მიწაც, შენობებიც და სამუშაო იარაღიც.

ა.

მონანულ ჯაშუშს

ზნე-დაცემული, წამხდარი,
მდაბალი სულით, გონებით,
განთქმული მელაძუობის
ავლადიდური ქონებით,
მლიქვნელი, ქვეწარმავალი,
როგორც ჭაობის ბაყაყი,
ხან განართხული მიწის სწორ
ხან მედიდური, ამაყი;
„უფროსის" წინა მთრთოლვარე,
„უმცროსთა" ფეხით მთელავი,
თვით არას მხვნელი, მთესველი
და სხვისის მთიბავ-მცელავი;
კაინ-იუდა-ნერონზე
ზე მდგომი, აღმატებული,
წუმპეში ემბაზ-ნალები
და სისხლით მირონ-ცხებული;
ურცხვი და შეუპოვარი,
შუბლზე ძარღვ გადაწყვეტილი,
ნაშობი ჯოჯოხეთისა,
მისგანვე გამოჭედილი;
გველივით ენა-სივსივა,
ქვეყნის მკესლავი შხამითა,
ბოროტი ძუძუს ნაკვები,
ბოროტი მონადგამითა!..
ზიზღით იმსჭვალვის არსება,
ბრაზით მევსება გულიცა...
არა მწამს მისი ცრემლები,
არც მისი სინანულიცა!..
როგორ ვიწამო ჯალათის
გარდაქმნა, გადაკეთება?
სულ სხვას ამტკიცებს იმისი
ბოროტი სულის კვეთება!..
ხმა ჩამომძახის: „სიკვდილი
ჯალათს და იმის სწორებსო!
კუზიანს მხოლოდ საფლავი,
სამარე გაასწორებსო!.."

დ. თომაშვილი

ზნეობრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში

წერილი პირველი

ქველმოქმედება და საქველმოქმედო დაწესებულებანი.

(გაგრძელება)

დავანებოთ თავი სამღვდელოებას და გამოვარკვიოთ ის საკითხი, თუ რა ზნეობრივ მოძღვრებით ხელმძღვანელობდენ, როცა გლახაკებსა და მონაზნებს ქველმოქმედებას აწვდიდენ.

საქართველოში ამ უკანასკნელ დრომდისაც-კი შეხვდებოდა ადამიანი მონაზნობის უძველეს წესს: აქა-იქ ეკლესიებთან ყოველთვის შეიძლებოდა ადამიანს ენახა ისეთი პირნი, რომელთაც ქალწულობისა აღთქმა ჰქონდათ დადებული, თუმცა საეკლესიო წესით ისინი მონაზნებად აღკვეცილნი არ იყვენ ხოლმე. მაგრამ მეუდაბნოობა ჩვენშიაც და სომხებშიაც, ვგონებ, ასურეთის ზეგავლენის წყალობით უნდა გავრცელებულიყოს. სომხეთის მონაზნობის ასურეთისგან მომდინარეობას ცხადად ამტკიცებს სომხური სახელი მონაზონისა, სახელდობრ სიტყვა „ჰბელა",—იგი ასურული სიტყვაა და თავდაპირველად აღნიშნავდა „მწუხარეს", ხოლო შემდეგ მონაზონს ეძახდენ. ჩვენს მწერლობაში, რამდენადაც ვიცით, ეს სიტყვა არ მოიპოვება, მაგრამ გრიგოლ ხანძთელი ისე ახასიათებს მონაზნობის მიზანსა და მისწრაფებას, რომ მკვლევარს უნებლიეთ მოაგონდება ზემომოყვანილი ასურული მონაზონის სახელი. გრიგოლ ამბობს, მონაზნები ისინი არიან, რომელთაც მოჰრიდეს საშუებელთა საწუთროისათა ნებსით და აღირჩიეს ღმრთისთჳს მწუხარებაჲ ადგილთა გლოვისათა, მსგავსად პირველთა მათ მამათა წმიდათა"... (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, პრ. მარრის გამოცემა, Тексты и розыск. წიგნი VII, გვ. 31). ხანძთელი არქიმანდრიტის განმარტებით მონაზონებმა აღირჩიეს ღმრთისათჳს მწუხარებაჲ", მაშასადამე ისინი „მწუხარენი" ყოფილან, ხოლო ასე, როგორც ნათქვამი იყო, მონაზონებს ასურელები ეძახდენ.

ქართული საეკლესიო გადმოცემაც ჩვენებურ მონაზონობის წყაროდ ასურეთს ასახელებს: პირველი მეუდაბნოენი საქართველოს ათცამეტი ასურელი მამები იყვენ. სამწუხაროდ, ამათი ცხოვრებანი, რომელთაც ჩვენამდის მოაღწიეს, ხელმეორედ გადაკეთებული და უშინაარსოა, ამიტომ მკვლევარს არ შეუძლიან რაიმე ჩვენი ისტორიისათვის გამოსადეგარი დასკვნა გამოიყვანოს ასურელ მამათა ცხოვრებიდან უძველეს დროს საქართველოში. თუ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ავტორი არა სცდება, მეუდაბნოება იყო განსაკუთრებით გავრცელებული: ეს შემდეგ სიტყვებიდანა ჩანს, „ვიდრე მოსვლამდე გრიგოლ მწყემსისა მის კეთილისა მხეცთაგან უხილავთა ლტოლვილნი მცირედნი იგი ცხოვარნი ქრისტჱსნი განბნეულ იყვნეს თითოჲ ანუ ორორი სივრცესა მას უდაბნოთასა: ხოლო მოსვლასა წმიდისა გრიგოლისა ცხოვარნი იგი განმკდეს" (ibid. გვ ით) როცა გრიგოლმა პირველი ეკლესია ააშენა უდაბნოში, „მას ჟამსა ყოველთა მათ წმიდათა უდაბნოთა შინა იწყეს წმიდათა მამათა მონასტრებისა შენებად და წმიდათა ეკლესიათა" (ibid იე —იხვ).

მე-VIII—IX საუკუნემდე, მაშასადამე, მანამ ხანძთელი ანქიმანდრიტი სამონასტრო მოღვაწეობას შეუდგებოდა, საქართველოში მარტომყოფელნი და მეუდაბნოენი ყოფილან, ხოლო გრიგოლის მაგალითს ისე მოუხიბლავს მაშინდელი მოწესენი, რომ სხვებსაც მიუბაძავთ და სამონასტრო წყობილება

შემოუღიათ. რასაკვირველია, შეიძლება ამ შემთხვევაში ხანძთელ მოღვაწის ცხოვრების ავტორს მეხსიერებამ უღალატა, შესაძლებელია სამონასტრო წესწყობილება აქა-იქ საქართველოში წინადაც ჰქონოდათ, მაგრამ მაინც იმის ცნობა სამართლიანად უნდა ჩაითვალოს იმიტომ, რომ საზოგადოდ და საყოველთაოდ ეტყობა, სამონასტო წესწყობილება საქართველოს გრიგოლ ხანძელის დროს გავრცელებულა. მეუდაბნოენი-კი, როგორც ხანძთელ მამის ცხოვრებიდან ჩანს, „იზრდებოდეს მძოვართა სახედ მწუანილითა და ხალითა, ხოლო რომელნიმე მცირითა პურითა“ (iibd. ვ—ზ.)

ჩვენ ვხედავთ, რომ მეუდაბნოეთათვის სულ მცირედი საკვებიც საკმარისი იყო რასაც დედამიწა აღმოაცენებდა ხოლმე, იმისიც კმაყოფილნი იყვენ; ზოგნი ხელობას კიდევ მისდევდენ და ამით ირჩენდენ თავიანთ თავს (ელსაქმარი, ilid. ზ). საზოგადოების დახმარება საჭირო იყო ისეთ მეუდაბნოეთათვის, რომელნიც „პურსა სჭამდენ“ ხოლმე. ისინი ცდილობდენ, რომ არავინ შეეწუხებიათ და თავიანთი თავი თითონვე გამოეკვებათ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოთხრობილია, მაგალითად—ერთმა, მოხუცმა მეუდაბნოემ, როცა ახალგაზდა გრიგოლი შეეხვეწა, დაბერებული ხარ და ახლა მე გემსახურებიო, უარი უთხრა: მე მინდა ნებითა ღმრთისადმი ვიღრე საკუდამდე ოვთ ვსმახურო თავსა ჩემსა“-ი ib. თ), რომ დადებული აღთქმა პირნათლად ავასრულოო. ერთი სიტყვით მეუდაბნოენი ბეჯითად ასრულებდენ ქალწულებისა და სიგლახაკის აღთქმას: ისინი სოფელს გაექცენ და უდაბნოში სრულს სიღარიბეში, ყოველგვარს სარჩო-ქონებას მოკლებულნი ცხოვრობდენ, რომ ზნეობრივად სპეტაკი და სრული ყოფილიყვენ. მათ ნებაყოფლობით აირჩიეს უპოვარება და სიღარიბე და სინიდისიერადაც ასრულებდენ დადებულ აღთქმას და, რამდენადაც შეიძლებოდა, თავის შრომით ცხოვრობდენ. ოღონდაც,—მათ უფლება ჰქონდათ, თავიანთ თავისათვის „გლახაკი“ დაეძახნათ. მხოლოდ იშვიათად მიჰმართავდენ ხოლმე ქველმოქმედებას.

გრიგოლ ხანძთელის დროს მონასტრების აგებას ყველგან საქართველოში გულმოდგინედ შეუდგენ. სამონასტრო ტიბიკონი გრიგოლმა თითონ შეადგინა და შედგენის დროს სხვა და სხვა საბერძნეთისა და პალესტინის გამოჩენილ ლავრების წესდებებით იხელმძღვანელა (ibid. ით, კ); მონასტრებში თუმცა მკაცრი წესი იყო შემოღებული, მაგრამ მეტისმეტი და გადაჭარბებულ სიმკაცრის მოტრფიალე, როგორც ჩანს, ხანძთელი არქიმანდრიტი არა ყოფილა პირიქით, ცხადად ჩანს, რომ იგი ყოველთვის ცდილობდა, მონასტრის ადგილი მშრალი და წმინდა ჰაერიანი მხარე ყოფილიყო, ზომიერი ჰავა, საღი, ცივი და გემრიელი წყაროს წყალი ჰქონოდა (ibid. იზ, კგ. კდ.) რომ მონაზნისათვის დიდებულ აღთქმის ასრულება მეტის მეტად ძნელი არ ყოფილიყო; ამიტომაც არის, რომ ქართულ მონასტრებს უმეტეს შემთხვევაში საუცხოვო მდებარეოდა აქვთ: მაღლობ, თვალწარმტაც მშვენიერ ადგილებზეა აშენებული და სრულის მყუდროებით არის მოცული.

გრიგოლის მაგალითმა დიდი მოძრაობა გამოიწვია, მიმბაძავი ბევრი გამოჩნდა, ახალ მონასტრების შენება ღვთისნიერ საქმედ გადიქცა და ხალხიც ბლომად მოაწყდა. რასაკვირველია, უმიწაწყლოდ, რაკი კერძო საკუთრება არა ებადათ რა, მეტად ძნელი იყო ცხოვრება: ხელსაქმარით თავიანთი თავი გამოეკვებნათ თუ სამონასტრო შენობები და ეკლესიები აეგოთ? ცალცალკე ცხოვრების დროს, როცა მეუდაბნოებს არც საერთო თავშესაფერი მოეპოვებოდათ, არც სამლოცველო, კერძო საკუთრების უქონლობა და სიღარიბე ისე საგრძნობელი არ იყო, როგორც შემდეგში, როცა მონაზნები ერთად იყვენ შეკრებილნი და მოთხოვნილებაც შესაფერისად გართულდა. სამონასტრო შენობის აგების დროს მონასტრების დამფუძნებელნი იძულებული იყვენ საერო კაცებისთვის დახმარება ეთხოვნათ; ლუკმაპურის და სურსათის საშოვნელადაც მონაზნებისათვის საჭირო იყო, რომ მონასტერს ერთი ნაჭერი მიწა მაინც ჰქონოდა, რომ ბერებს მოეხნათ, დეთესათ, მოემკათ და თავის ოფლით გამოეკვებნათ თავიანთი თავი. ჩვენ ვხედავთ, მართლაც, რომ გრიგოლი ხანძელი ერთ მახლობელ დიდებულ აზნაურს სთხოვს, მონასტერს სახნავი მიწები შემოსწირეო (ibid იგ—ი) ასეთისავე თხოვნით ხანძთელმა მამამ ბაგრატ კურაპალატსაც მიჰმართა (ibid. კᲩ—კთ). ერისკაცები მონასტრების დამაარსებლებს თხოვნას სიამოვნებით ასრულებდენ. თანდათან მონასტრებს ნაჩუქარი მამულები ემატებოდათ და სამონასტრო საკუთრება გაუჩნდათ

ერთი სიტყვით, ჩვენ ვხედავთ, რომ, როცა მეუდაბნოება სამონასტრო წესად შეიცვალა, მონაზნები იძულებული იყვენ სრულ სიგლახაკისა და სიღარიბის ცხოვრების იდეალის განხორციელებისათვის თავი დაენებებინათ და საზოგადო სამონასტრო საკუთრება, მამული შეეძინათ. მაგრამ ძირითად ზნეობრივ მოძღვრებას არ ივიწყებდენ: მონაზნები თითონ მუშაობდენ ხოლმე სამონასტრო მამულებში ვენახსა და ბაღჩებში, ხე—ტყეს თითონ სჭრიდენ და მოჰქონდათ (ibid. კდ. ნდ) ასე იყო ათონის ქართველების მონასტერშიაც ვენახებში და მინდვრად ცელვისა და მკის დროს, სახელოსნოებში და ბოსელში ერთი სიტყვით ყველგან თითონ ბერები მუშაობდენ. გიორგი მთაწმინდელი მოკვითხრობს: „ყოველსა ძმანი შურებოდიან და ვინადგან ყოველნი იქმოდეს, არა უმძიმდა, არაშად ულტოვინველად და სიხარულით იქმოდესო“ (იოანე და ეკვთიმეს ცა, საეკლესიო მუზეუმ. გამოც. გვ. 48) მონაზნები, მაშასადამე, ცდილობდენ, რომ პავლე მოციქულის ზნეობრივი მცნება „ვისაც არა უნდენ საქმის, ნუცა ჰსჭამნ“ —სრულიდისიერად ასრულებინათ. ისინი წინანდებურად თავიანთ თავს „გლახაკს“ ეძახდენ, მაგ. გრიგოლ ხანძთელი ბერების შესახებ ამბობს: „ჩუენ გლახაკთა მიმართო“ (ცხოვრებაჲ, გვ. კვ). ეკვთიმე მთაწმინდელი კიდევ ყოველთვის ლაპარაკობდა ხოლმე: „ჩუენ კაცნი ვართ გლახაკნი და უცხონიო“ (ცხოვრება, გვ. 46). მონაზონი და გლახაკი, მაშასადამე, ურთსა და იგივეს ნიშნავდა; ასეთი მნიშვნელობის იგივეობა გვიჩვენებს, თუ რა დიადი მნიშვნელობა ჰქონდა სრულს სიღარიბესა დი უპოვარებას ქართველ ბერის აღთქმაში; ამ მხრივ ხანძთელ არქიმანდრიტს შემდეგი სიტყვები აქვს გამოთქმული: „კანკელსა ღმრთისასა ეხე ჩუენებაჲ აქუს რაჲთა წმიდათ მათ უდაბნოთა მონასტერნი კელიათა გლახაკთაჲთა ადგენენ. რომელნიცა სრულიად თავისუფალ იქმნეს სოფლისა საგანთაგან: დაღაცათუ წმიდათა უდაბნოთა კელმწიფენი იღუწიან. ხოლო წოდებად სახელი გლახაკთა ჯერ იჩინა ქრისტემან შᲩნებასა წმიდათა მონასტერთასა, არამედ მისცა ღმერთმან კელმწიფებაჲ მორწმუნეთა მეფეთა აღᲩᲜებად საყდართა საეპისკოპოსოთა“ (გრიგოლ ხ.ნძ. ცა, ibid. კდ—კე).

სიგლახაკის აღთქმა და განსოცილება მონაზონებისათვის მაშინ როგორც სჩანს ჯერ კიდევ ისეთად ძლიერი ყოფილა რომ მაშინდელ საეკლესიო მწერალსა და მოღვაწეს ამაც კი

შეეძლო ეფიქრნა, რომ ოდესმე მეფეთა ხელითაც შეიძლებოდეს მონასტრების აშენება; არა, იგი ამტკიცებდა ღვთის განგებასა სურდა, რომ მონასტრების აშენება მხოლოდ გლახაკთა ხელით მომხდარიყოო, იმიტომ რომ გლახაკნი „სრულად თავისუფალნი არიან სოფლის საცთურისაგანო“, იმიტომ რომ მხოლოდ სრული სიღარიბის დროს შეეძლო, მაშინდელ შეხედულებისამებრ, ზნეობრივად უმწიკლავი ყოფილიყო ადამიანი. გრიგოლის სიტყვით, ღმერთმა მეფეებს მარტოოდენ საეპისკოპოსო ეკლესიების აშენების უფლება მიანიჭა. ცხადია, ხანძთელ არქიმანდრიტს ჯერ არა სცოდნია, რომ მეფეებიცა და კერძო პირებიც სწორედ განსაკუთრებით მდიდარი და შეძლებული აზნაურები და მოხელეები აშენებდენ ხოლმე შემდეგ საუკუნეებში მონასტრებს, რომ მე-XI — XII საუკუნეებიდან დაწყებული ახალ მონასტრების მომეტებული ნაწილი სულ კერძო პირების აგებული იყო და საპატრონოდ ითვლებოდა. გრიგოლ ხანძთელის დროს მეფეებს საეპისკოპოსო ეკლესიების აშენების გარდა შეეძლოთ მონასტრებისათვის ეზრუნათ და ელვაწნათ. ესეც დიდი ცვლილება იყო; წინად ხომ მეუდაბნოენი სხვის დახმარებისა და ზრუნვას სრულებით უარსა ყოფდენ

კაცი რომ დაუფიქრდეს, ცხადად შეამჩნევს, რომ მონაზნები ცდილობდენ როგორმე შეენარჩუნებინათ თავიანთი უმთავრესი და ძირითადი აღთქმა, — სრული სიგლახაკე და თავისი ოფლით ლუკმა პურის ჭამა, სამონასტრო წესწყობილების დროს სრულ სიგლახაკეზედ ლაპარაკი აღარ შეიძლებოდა, მონასტერს თავისი საკუთრება ჰქონდა, — მოძრავიც და უძრავიც. მართალია ეს ქონება თითოეულ ერის კერძო კუთვნილება არ იყო, კერძო საკუთრებას კი არ ადგენდა, არამედ საზოგადოს, მაგრამ მაინც ხომ საკუთრება იყო და თითოულ მონაზონს წილი ედო ამ ქონებაში, ერთი სიტყვით ჩვენ ვხედავთ, რომ მამულის საკუთრებას, სწორედ ის, რასაც ასე გაშმაგებით გაურბოდენ და თავიდან იშორებდენ ხოლმე მონაზნები, როცა სიგლახაკისა და ქალწულების აღთქმას სდებდენ, მათთვის მაინც საჭირო გახდა, უიმისოდ არსებობა აღარ შეეძლოთ. ახლა მონასტერი სამეუნეო ძმობას წარმოადგენდა რომელსაც საზოგადო საკუთრება ჰქონდა და საერთოდ აწარმოებდა საქმეს. მართალია, სიგლახაკის აღთქმა მონაზნობის უმთავრესი მცნება ირღვევოდა, მხოლოდ ზნეობრივი მცნება საკუთარი მუშაობით ლუკმა პურის შოვნის შესახებ და იყო შერჩენილი, მაგრამ ესეც უნდა სთქვას კაცმა, რომ არც ამ სიგლახაკის იდეალის დარღვევას, არც იმ წვლილსა და შესაწევარს, რომელსაც მაშინდელი ქართველი საზოგადოება მონასტრებს აძლევდა ხოლმე, ჩვენის ერისათვის უნაყოფოდ და ამაოდ არ ჩაუვლია. პირიქით, მეუდაბნოენი თავის ერისათვის თითქმის სრულებით გამოუდეგარნი იყვნენ, ხალხზე დაშორებულთ, ყოველგვარ ადამიანურ ცხოვრების პირობებს მოკლებულთ, მუდმივ მშიერ-მწყურვალთ რის გამეტება შეეძლოთ? ისინი მხოლოდ პირად ზნეობრივ წარმატებასა და სისრულეზე ზრუნავდენ და „ცოდვილ“ ქვეყნისა არა უნდოდათ რა; მონასტრების დაარსების შემდეგ კი, როცა მონაზონი დარწმუნებული იყო, რომ მას მცირედი საჭმელ-სასმელი მაინც ექნებოდა მუდმივ, ვისაც ძალი და ღონე შესწევდა მთელ თავის დროს გონებითს მუშაობას შეალევდა, — მწერლობა იყო თუ მხატვრობა, საეკკლესიო გალობა იყო თუ სჯულთ მეცნიერება. ოდონდაც დიდი კულტურული ღვაწლი მიუძღვით ამ მონასტრებს სამშობლოს წინაშე; განა მდიდარი საეკლესიო მწერლობა და მრავალმხრივი ხელოვნება სულ მათი შექმნილი და აღორძინებული არ არის? მაშინდელი მონასტერი სავანე იყო უმაღლეს გონების განვითარებისა.

ივ. ჯავახაშვილი

(შემდეგი იქნება)

რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი
გამომცემელი თ-დი პავლე ი. თუმანიშვილი.

ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

წლის დამლევამდის ღირს ტფილისსა და ტფილისს გარედ გაგზავნით 3 მან., 5 თვით — 2 მან. თითო № 10 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Родакція газ. „ИВЕРІА“.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

შრომა

სურათებიანის დამატებით

პირველ მაისიდან წლის დამლევამდის ღირს 4 მან.

კანტორის ადრესი: ტფილისი, ვანქის დიდი, ქუჩა სახლი № 13.

მოითხოვეთ ნამდვილი

„ოდოზრინი“ მ. ვ. ლებედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად, მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.

იყიდება ტფილისში — სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (წლ.)

რკინის გზით მგზავრ ქართველ მკითხველთა საყურადღებოდ.

დაიბეჭდა და ისყიდება სადგურ მიხაილოვის ბილეთის კასაში საინტერესო ახალი თანამედროვე რომანი ორ ნაწილად.

ცხოვრება და სიყვარული

წიგნი დიდი ზომისაა. დაწერილია დღევანდელ კითხვებზე, ცოლ-ქმრის კავშირზე და სქესობრივ დამოკიდებულებაზე. დაბეჭდილია სუფთად, მშვენიერის კანით, მაგრა შეკერილი, შეიცავს 350 გვერდს და ღირს მხოლოდ ორი აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „Цодна“. Ст. Михайлово, первому билетному кассиру Чархишвили. (10 2)